



ციბეხანი

№ 142 / 24 - 39 ივნისი / 2013

ISSN 1987-7528



ფასი 2 ლარი

ვინ აგებს პასუხს წამებაზე? **33. 6**

აფხაზეთი: 70000 პასუხი კითხვაზე **33. 10**

რუსთავი2: თინეიჯერობის დასასრული **33. 38**

„ტრაქტორების საქმე“ - ნაწილი 2: საპრობილე **33. 44**

იუსტიციის საბჭოს ახალი მდივანი **33. 48**



**მთავარი თემა:**

**საყოველთაო ანდესვის  
ბოიკო ატეხი**

**33. 14-37**

# იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპიტხე ყველგან!

იპიტხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისთვის საშუალებას გაძლევთ მარტივად იპიტხეთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდულად თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

პალიკაზიის გადმონახვად, თქვენი მონეტარილიტიდან iTunes-ზე მოქმედეთ „JOTA READER“





ლიბერალი

№ 142 / 24-30 ივნისი / 2013

**მთავარი რედაქტორი**

შორენა შავერდაშვილი

**აღმასრულებელი რედაქტორი**

ნინო ბექიშვილი

**რედაქტორები**

ლიკა ზაკაშვილი

ირაკლი აბსანძე

**ჟურნალისტები:**

ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

**კონტრიბუციები:**

ვალერი ძუცივი, მანანა ვარდიაშვილი, დემის პოლანდოვი, ვასო კუჭუხიძე

**რედაქცია:**

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლორთქიფანიძე

რედაქტორ-სტილისტი

ნინო ბექიშვილი

კორექტორი

ნათია ორმოცაძე

**გამომცემლობა:**

ლიბერალი

შორენა შავერდაშვილი

**ზიზნასის განვითარების მენეჯერი:**

რუსუდან ბარათაშვილი

**პარტნიორებთან ურთიერთობის მენეჯერი:**

ირმა მოსულიშვილი

**დისტრიბუტორი:**

გაგი გელაშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები

დაგვიკავშირდით:

mziakublashvili@gmail.com

www.liberali.ge

# რედაქტორის სვეტი



ამ ნომერზე მუშაობისას ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა საინფორმაციო სააგენტომ წამებაში ბრალდებულების სასამართლო პროცესიდან ფოტორეპორტაჟი გამოაქვეყნა. ფოტოებზე აშკარად ჩანს ბრალდებულების სახეები. ამ სააგენტოში არავის უფიქრია, რა საფრთხის ქვეშ დააყენეს ფოტორეპორტაჟის გმირების ახლობლები – შესაძლოა, მცირეწლოვანი შვილები, მოხუცი მშობლები, ფეხმძიმე ცოლები.

საერთოდაც, მგონია, ჟურნალისტები ჩვენი საქმის კეთებისას სულ უფრო ნაკლებად ვფიქრობთ ადამიანებზე. გვაგინყდება, რომ ყველაფერი, რასაც ვწერთ, ადამიანური ისტორიებია – ისტორიები პოლიტიკოსებზე, მწერლებზე, მზარეულებზე, ამომრჩევლებზე, ბავშვებზე, მოხუცებზე... მოკლედ, ისტორიები ადამიანებზე.

ქართველმა ჟურნალისტებმა გასულ კვირას კიდევ ერთი გამოცდა ვერ ჩავაბარეთ. სანამ ერთმანეთს ვუმტკიცებდით, ვინ უფრო პროფესიონალია, ვინ უფრო ეთიკური, ვის მეტად ენდობა აუდიტორია, მთავარი გამოგვეპარა – ჩვენ ჩვენს მკითხველებს, მაყურებლებს თუ მსმენელებს ვერ დავანახეთ ტრაგედიის მასშტაბი. არადა ის, რაც თურმე 21-ე საუკუნის საქართველოში ხდება, უდავოდ არის ტრაგედია.

ჩემი გერმანელი მეგობრების ბებია-ბაბუები ხშირად მიყვებოდნენ-ხოლმე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდათ საკონცენტრაციო ბანაკების არსებობის შესახებ. ერთ მშვენიერ დღეს გამქრალი ებრაელი მეზობლებიც თბილ ქვეყნებში გადასახლებულები ეგონათ.

მესმის, რომ უტრირებას ვახდენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ესეც სასარგებლო მგონია. ფსიქოთერაპიის პრინციპიც ხომ ეგაა – ჯერ კარგად უნდა დაინახო სად ხარ, რა ნეხვში ხარ ჩაფლული და მერე ეძებო გამოსავალი.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ყველანი ერთ ნეხვში ვსხედვართ და, ალბათ, ყველას ერთნაირად უსიამოვნო სუნი აგვდის. ეს ხშირად უნდა შევასენოთ ერთმანეთს, უფრო ხშირად კი – ტელეეკრანებიდან მოკეკლუცე პოლიტიკოსებს. სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ სანამ მათ ამ პრანჭვა-გრეხვის საშუალებას ვაძლევთ, ნეხვიდან ვერ ამოვალთ.


ირაკლი აბსანძე, პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი



## აფხაზეთი: 70000 ჰანუხი უბნიშვნალოვნად ხითხვაზა

გასულ კვირას, დაახლოებით 70 000-მა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, რომლებსაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია საკუთარ სულიერ შვილებად აღიარებს, განაცხადა, რომ აღარ სურს მის წიაღში ყოფნა და სურს მხოლოდ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წევრობა. თანაც ეს გაკეთდა წერილობითი ფორმით და საკუთარი დამოკიდებულება არაორაზროვნად გამოიხატა – მათ შეეძლოთ ეპასუხათ „არა“, და გამოკითხულთა 97%-მა მაინც ქართული ეკლესიიდან გამოყოფას მისცა ხმა.

ძალიან მალე, აფხაზეთის მართლმადიდებელი ხალხის კრების ახალი სხდომა უნდა ჩატარდეს. რუსულმა ეკლესიამ, მამა ბესარიონის პირით, უკვე გამოხატა პროტესტი ამ ღონისძიების მიმართ. გასაგებია, რომ ქართული ეკლესიაც მისი წინააღმდეგია.



ღემის პოლანდოვი  
გვ.10

## საყოველთაო ჯანდაცვის მეოხე ახალი

საყოველთაო დაზღვევის პირველი ეტაპი დასრულდა. როგორ აფასებთ ჯანდაცვის მინისტრი მიმდინარე პროგრამას, რას გულისხმობს საბაზო სადაზღვევო პაკეტი და რატომ ხარჯავს საქართველოს მოსახლეობა ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯების 60%-ს მედიკამენტებზე? რა ელის სადაზღვევო ბაზარს, რომლის 75 პროცენტიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამედიცინო დაზღვევას უკავია? ვინ გადაიხდის „უფასო“ ჯანდაცვის ხარჯებს? რა პრობლემების წინაშე დგანან გასხვისებული კლინიკები?

ლიკა ზაკაშვილი, მანანა ვარდიაშვილი, თინა ყიფშიძე, ანდრია ურუშაძე  
გვ.14-37


## ბაეხოს ახალი ხეზოღუსია ღეზნიღთა შესახებ

13 ივნისს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 67-ე სესიაზე, კიდევ ერთხელ მიიღო საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია „აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“. ქართული მხარის სასარგებლოდ 62-მა ქვეყანამ მისცა ხმა, 16 – წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 84-მა – თავი შეიკავა. მართალია, ასეთ რეზოლუციას გაერო 2008 წლის შემდეგ ღებულობს, მაგრამ მას რაიმე კონკრეტული შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად, რეზოლუციის მიღება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

ვასო კუჭუხიძე  
გვ.8

# ხუსთავი 2 თინათინის დასახედი


კომპანიას, რომელმაც მაუწყებლობა 19 წლის წინ რუსთავეთი თანამშრომლების სახლებიდან წამოღებული საყოფაცხოვრებო ტექნიკით დაიწყო, დღეს 600-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. ქვეყნის ყველაზე გავლენიანი კერძო ტელეკომპანია ამ წლების მანძილზე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის საჯილდაო ქვად იქცა. ასეა დღესაც.

 ირაკლი აბსანძე  
83.38

**საუბრები**

## "ტრაქტორების საქმე" – ნაწილი 2: საპრობილე



 ზურა ვარდიამელი  
83.44

**გამოცემის:**

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ჭანტურიას ქ. 5. ტელ.: (995 32) 2933627 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

**სადა გამოცემა:**

გაზეთი „ლიბერალი“ „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

**ბაჭყალი:**

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

**ნომერი:**



ფოტო: ლევან წარსულაძე

- 04 **მოკლედ ორი აზრი**
- 06 ვის ეკისრება პასუხისმგებლობა წამების ფაქტებზე?  
**კომენტარი**
- 08 პგაეროს ახალი რეზოლუცია დევნილთა შესახებ  
**სამართალი**
- 48 რა გადაწყვეტილებებზე არ საუბრობს იუსტიციის საბჭოს ახალი მდივანი?
- 52 **ციტატები**

**ბასწორება**

ჟურნალ „ლიბერალის“ 2013 წლის N 141-ში გამოქვეყნებულ სტატიაში – „რა ხდებ(ოდ) ა „ყაზტრანსგაზ-თბილისში“ – აღნიშნული იყო, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დროებითი მმართველი, ან თაქთაქიშვილი საპარლამენტო უმცირესობის წევრის, ჩიორა თაქთაქიშვილის დაა. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, კომპანიიდან დაგვიკავშირდნენ და განაცხადეს, რომ ჩვენ მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. სტატიის ავტორი არასწორი ინფორმაციის გავრცელების გამო ბოდიშს უხდის „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ დროებით მმართველს, ან თაქთაქიშვილს .

## ბრაზილიაში საპროტესტო აქციებს ახალი ადამიანი შესხვია



„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, ბრაზილიის ქალაქ სან პაულუსში გამართული საპროტესტო აქციის დროს ერთი ადამიანი დაიღუპა. აქციის ახალგაზრდა მონაწილე იმ დროს დაიღუპა, როცა დემონსტრანტთა ჯგუფს მანქანა შეეჯახა. ინციდენტის შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიის ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ტრანსპორტზე ფასები არ გაზარდა, ქვეყნის მასშტაბით, დაახლოებით 100 ქალაქში მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ბრაზილიაში დემონსტრანტები საგარეო საქმეთა სამინისტროს შტურმით აღებას შეეცადნენ, თუმცა ისინი პოლიციამ ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით დაშალა. აქციის მონაწილეებმა შეტევის მიტანა სცადეს პრეზიდენტის სასახლეზეც, რომელსაც გაძლიერებული დაცვა იცავდა. თუმცა ბრაზილიის პრეზიდენტმა დილმარუსეფმა ქვეყანა დატოვა და იაპონიაში გაემგზავრა. სამართალდამცავებსა და დემონსტრანტების შეტაკებები იყო ბრაზილიის სხვა ქალაქებშიც, მათ შორის, სან პაულუსა და რიო-დე-ჟანეიროში. ბრაზილიაში საყოველთაო გამოსვლები უკვე ერთი კვირაა გრძელდება. თავდაპირველად, მომიტინგეები ტრანსპორტზე ფასის 20 სენტავოთი გაზრდას აპროტესტებდნენ. თუმცა ხელისუფლება დათმობაზე წავიდა და ფასი აღარ გაზარდა. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელები განერებებს არ აპირებენ. ისინი ხელისუ-

ფლებას კორუფციასა და სოციალურ უთანასწორობაში, ასევე საფეხბურთო ჩემპიონატების მოსაწყობად ზედმეტი თანხების ხარჯვაში ადანაშაულებენ. მომიტინგეებს დაშლისკენ მოუწოდა ფეხბურთი მეფე პელეცა.

## საქართველოში საყოველთაო აღწერა იგეგმება

საქართველოში საყოველთაო აღწერის ჩასატარებლად 1 ივლისიდან პირველი ეტაპის მოსამზადებელი სამუშაოები იწყება. პირველადი საველე სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელ დირექტორ, ზაზა ჭელიძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

საყოველთაო აღწერის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ პირველადი სამუშაოებისთვის აჭარა და გურია შერჩა, სადაც ეს სამუშაოები 1-14 ივლისს განხორციელდება, 16-30 ივლისს კი – კახეთში. დავით ნარმანიამ მოსახლეობას მოუწოდა, რომ საყოველთაო აღწერაში მონაწილე „საქსტატი“ თანამშრომლებთან ითანამშრომლონ და მიაწოდონ მათ საყოველთაო აღწერისთვის საჭირო ინფორმაცია. აღწერით სამუშაოებში 18 000-მდე ინტერვიუერი და რეგისტრატორი მიიღებს მონაწილეობას. მათ შესარჩევად „საქსტატი“ კონკურსს გამოაცხადებს. საყოველთაო აღწერაზე წელს 4,5 მილიონი ლარია გათვალისწინებული, მომავალ წელს – 11 მილიონი, მთლიანად საყოველთაო აღწერისათვის კი 18 მილიონი ლარი დაიხარჯება. უშუალოდ აღწერა 2014 წლის 5-დან 19 ნოემბერს ჩატარდება. მოსახლეობა 6-გვერდიან კითხვარს უპასუხებს. პირველი მონაცემები კი 2015 წლის გაზაფხულზე იქნება. აღწერის შემდეგ სახელმწიფოს ექნება ინფორმაცია: მოსახლეობის რაოდენობის, რელიგიის,

ეთნიკურობის შესახებ, ასევე დასაქმებაზე, ეკონომიკურ აქტივობაზე, განათლებაზე, სახლების საკუთრების ფლობაზე, სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე და ა.შ. აღწერა ბოლოს საქართველოში 2002 წელს ჩატარდა, იგი ყოველ 10 წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერის საკორდინაციო სამთავრობო კომისიამ პირველი სხდომა 2013 წლის 2 აპრილს გამართა და 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამა და სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

## „ფრიდომ ჰაუსი“ ყოველწლიურ ანგარიშს აწარმოებს

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს აქვეყნებს. ანგარიშში საქართველოზე ნათქვამია, რომ წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში კომპეტენტური და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, თუმცა დაფიქსირდა პრობლემები ადმინისტრაციული რესურსების ხარჯვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, დარღვევები დაფიქსირდა არჩევნების დღესაც. „ფრიდომ ჰაუსის“ ანგარიშში ასევე წერია, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ყოფილი მილიარდერი ბიზნესმენის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა კოალიციამ მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა, რის შედეგადაც, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა არჩევნების გზით განხორციელდა. რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, ანგარიშის მიხედვით, ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში გაუარესდა სიტუაცია კორუფციის, მედიაში არსებული მდგომარეობისა და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების თვალსაზრისით. ამასთან, ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცენტრალური აზიისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნები იმართებოდნენ



ავტოკრატიული რეჟიმების მიერ. რაც შეეხება რუსეთს, „ფრიდომ ჰაუსის“ პრეზიდენტის, დევიდ კრამერის თქმით, განსაკუთრებით გაუარესდა მდგომარეობა რუსეთში ვლადიმირ პუტინის ხელისუფლებაში პრეზიდენტად დაბრუნების შემდეგ. როგორც დევიდ კრამერი ამბობს, ვლადიმირ პუტინის პრეზიდენტად დაბრუნებამ რუსეთის მოქალაქეები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველაზე მძიმე რეპრესიებით აზარალა, პუტინმა თავისი ძალაუფლება გამოიყენა იმისათვის, რომ კანონმდებლობის, მედიისა და სასამართლო სისტემის მეშვეობით დაემკვიდრებინა ახალი პოლიტიკა პოლიტიკური ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ასალაგმავად.

**ჩინური ნოქიანი - ჩინური შინაილი, ბაიოქიანი იყოს, ხობოხის მახინჯაობა და ჩვენი ამ პოზიციის ვახხობით**


„ფარული ვიდეო-ჩანაწერების გარკვეული რაოდენობა შესაძლოა, იყოს გამოყენებული, როგორც მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულება და ჩვენ ამ პოზიციას ვემხრობით,“ – ამის შესახებ ამერიკის ელჩმა რიჩარდ ნორლანდმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ფარული ჩანაწერების მიმართ საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია. „ამ თემას დიდი დრო ეთმობა ქართულ საზოგადოებაში. ვიცი, რომ ჩართულები არიან არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. რამდენადაც ვიცი, მთავრობას ამ მხრივ აქვს პრინციპული და მტკიცე პოზიცია, რომ ეს მასალები უნდა განადგურდეს. შესაძლებელია, საუბარი იყოს იმაზეც, რომ გარკვეული რაოდენობა გამოყენებული იყოს, როგორც მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულება და ამ პოზიციას ჩვენ ვემხრობით,“ – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

**საქართველოდან თამბაქოს ფასი ბაიოქიანად**

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შედის, რომლის მიხედვითაც, პირველი სექტემბრიდან თამბაქოზე აქსციზი იზრდება. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, მინისტრთა კაბინეტმა ცვლილებების პროექტი მოიწონა და ის პარლამენტს გადაეგზავნება. ხადურის ინფორმაციით, სექტემბრიდან თამბაქოზე გაიზრდება აქსციზი, კერძოდ, 15 თეთრით ფილტრიან და 5 თეთრით უფილტრო სიგარეტზე.

ცვლილებების მიხედვით, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

შემოსავალი 3 000 ლარის ფარგლებში საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდებოდა, ამიერიდან, დაუბეგრავი ზღვარი ორმაგდება და 6 000 ლარი იქნება. ფინანსთა მინისტრის თქმით, ცვლილებები საგადასახადო კოდექსში სოფლის მეურნეობის წახალისების მიზნითაც შედის. კერძოდ, თუ აქამდე სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება გათავისუფლებული იყო დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე, ახლა მათ ექნებათ ჩათვლის უფლების მიღების შესაძლებლობა. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტით ზუსტდება ასევე შემოწირულობის ცნება. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, თუ აქამდე შემოწირულობა მხოლოდ ფულადი შეიძლებოდა ყოფილიყო, ამიერიდან, ის იქნება საქონელი და მიწაც, რომელიც საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაძლოა სხვადასხვა მიზნით გამოიყენოს. 



## დავით ასათიანი

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ თავმჯდომარე

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძალიან მძიმე კატეგორიის დანაშაულია.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, თუკი დადგინდა, რომ ამას რაიმე ფორმით სისტემური ხასიათი ჰქონდა, ჯერ უნდა დადგეს იმ პირთა პასუხისმგებლობა, ვინც უშუალო შემსრულებელი იყო. რაც ჩვენ ბოლო პერიოდში ვნახეთ, გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ეს არის სისტემური დანაშაული. აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმ პირებსაც, ვინც დამალა ან რაიმე სახით ნახალისა დანაშაული. გარდა ამისა, ამ ფაქტებზე პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფ პირებსაც უნდა დაეკისროთ.

ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, ცნება „სისტემის მსხვერპლი“ ცოტა გაუგებარი და წარმოუდგენელია. პოლიციელები სისტემის მსხვერპლები არ არიან. ამ შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც არაადამიანურად აწამეს. ამ შემთხვევაში გვაქვს მძიმე კატეგორიის კონკრეტული დანაშაული და მიმაჩნია, რომ მასში მონაწილე პირებმა, მიუხედავად მათი თანამდებობრივი მდგომარეობისა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ. აქ საუბარია კანონის – სისხლის სამართლებრივ ან სხვა პასუხისმგებლობაზე. პოლიტიკურზე არ ვსაუბრობ, რადგან ეს ისედაც ნათელია და ეს თემა პოლიტიკოსების გასარკვევია.

თუ გამოვლინდება, რომ ეს დანაშაული სისტემურ ხასიათს ატარებდა და რაიმე სახით მინისტრს და პრეზიდენტს ამ ფაქტებზე ინფორმაცია ჰქონდათ, მაგრამ მიუხედავად ამისა რაიმე სახით ნახალისებული იყო ეს დანაშაული და ისინი მსგავსი ტიპის მოქმედებებზე თვალს ხუჭავდნენ, მაშინ, რა თქმა უნდა, მაღალი თანამდებობის პირებმაც უნდა აგონ პასუხი. გამოძიება უნდა გაგძლედეს და ამ საკითხის წინასწარი ინფორმირებულობის ან მონაწილეობის შემთხვევაში მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. ■



## ვის ეხისხება ნამების

■ ცნება „სისტემის მსხვერპლი“ გაუგებარია. პოლიციელები სისტემის მსხვერპლები არ არიან. ამ შემთხვევაში მსხვერპლს წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც არაადამიანურად აწამეს. ამ შემთხვევაში გვაქვს მძიმე კატეგორიის კონკრეტული დანაშაული და მიმაჩნია, რომ მასში მონაწილე პირებმა, მიუხედავად მათი თანამდებობრივი მდგომარეობისა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ.





### ლევან ბერძენიშვილი

პარლამენტარი

ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ქვეყნის პრეზიდენტსა და ყველა იმ პირს, ვინც ამ დანაშაულში მონაწილეობას იღებდა. არ დაგავინწყდეთ, რომ ეს ადამიანები ამ სისტემას და ქვეყანას ხელმძღვანელობდნენ იმ წლებში, როცა ასეთი ტიპის დანაშაულებრივ ქმედებებს სისტემური ხასიათი ჰქონდა როგორც ციხეში, ისე მის გარეთ.

დამნაშავე მარტო დანაშაულის ჩამდენი არ არის, არამედ ისიც, ვინც დანაშაულებრივი გულგრილობით საკუთარ სისტემაში არსებულ მოვლენებს ყურადღებას არ აქცევს, ან მისივე თანამონაწილეა.

თუმცა ეს არაა არც ერთი პოლიტიკოსის და არც ჩემი გადასანწყვეტი. სასამართლომ უნდა მიიღოს რაციონალური გადაწყვეტილება და ყველა ის პირი, ვინც სხვის წამებაში იღებდა მონაწილეობას, დასაჯოს კანონის შესაბამისად.

შინაგან საქმეთა სამინისტროში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს ეს კადრები აჩვენეს და, როგორც ირკვევა, საკმაოდ მძიმე დანაშაულებები გამოიკვეთა. ამ საშინელი ფაქტის მონაწილე დაპატიმრებული ადამიანები, დამნაშავეები არიან, მათი სასამართლო პროცესი უკვე მიმდინარეობს და ახლა, იმედია, თვითონ იტყვიან – ვინ, რას და რატომ ავალებდა.

მთავარია გამოძიებამ იმუშაოს კარგად და დანაშაულს შესაბამისი კვალიფიკაცია მიანიჭოს. ■

## პასუხისმგებლობა ფაქტებზე?

**■ ჩემი აზრით, პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დაეკისროს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ქვეყნის პრეზიდენტსა და ყველა იმ პირს, ვინც ამ დანაშაულში მონაწილეობას იღებდა. არ დაგავინწყდეთ, რომ ეს ადამიანები ამ სისტემას და ქვეყანას ხელმძღვანელობდნენ იმ წლებში, როცა ასეთი ტიპის დანაშაულებრივ ქმედებებს სისტემური ხასიათი ჰქონდა როგორც ციხეში, ისე მის გარეთ.**

# ბაქოს ახალი ჩაზოცის დავნილი შესახებ

13 ივნისს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 67-ე სესიაზე, კიდევ ერთხელ მიიღო საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია „აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“. ქართული მხარის სასარგებლოდ 62-მა ქვეყანამ მისცა ხმა, 16 – წინააღმდეგ წავიდა, ხოლო 84-მა – თავი შეიკავა. მართალია, ასეთ რეზოლუციას გაერო 2008 წლის შემდეგ ღებულობს, მაგრამ მას რაიმე კონკრეტული შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. ამის მიუხედავად, რეზოლუციის მიღება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

## ვასო კუჭუხიძე

იქედან გამომდინარე, რომ საქართველო პატარა და განვითარებადი ქვეყნების რიცხვში შედის, საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური მოქმედებისთვის მის ხელში არსებული რესურსები შეზღუდულია. ასეთ შემთხვევაში, საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ტრიბუნაა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან საკუთარ პრობლემებზე ყურადღების მისაქცევად. ამ მხრივ ქვეყნის სტრატეგია სწორად არის მიმართული, გაეროს გენერალურ ასამბლეაში ამ რეზოლუციის ყოველწლიური ინიცირება, საერთაშორისო საზოგადოებას მისი მივიწყების საშუალებას არ აძლევს, საკითხს დღის წესრიგში ტოვებს და მხარდაჭერას ზრდის.

ეს არის საერთაშორისო არენაზე პატარა ქვეყნის მოქმედების კარგად აპრობირებული სტრატეგია. მხარდაჭერა ზრდის ტენდენცია კი ნაყოფიერად მიმდინარე სამუშაო პროცესზე მიუთითებს, რაც ჩვენი ქვეყნის საგარეო უწყების დამსახურებაა. თუმცა პროპაგანდისტულ ხასიით ატარებს ამ მხრივ მიღწეული წარმატების დიდ გამარჯვებად შერაცხვის უკანასკნელ წლებში დამკვირდებული ტრადიცია, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა არც ამჯერად უღალატა და იაპონიის ელჩთან შეხვე-

დრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

შინაარსობრივად რეზოლუცია აღიარებს დევნილთა უფლებას დაბრუნდნენ ოკუპირებულ რეგიონებში, გამოხატავს ძალის გამოყენებით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ხაზს უსვამს დევნილთა საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობასა და ზემოთხსენებულ რეგიონებში პუმანიტარული საქმიანობის დაუყოვნებლივი განხორციელების აუცილებლობას. გარდა ამისა, რეზოლუცია მოუწოდებს გაეროს გენერალურ მდივანს იძულებით გადაადგილებულ პირთა ოკუპირებულ რეგიონებში დაბრუნების კონკრეტული გრაფიკის შესამუშავებლად და გენერალური ასამბლეისთვის დევნილთა მდგომარეობის ყოველწლიური მოხსენების გასაკეთებლად.

სესიაზე გამართული კენჭისყრის დროს რეზოლუციის წინააღმდეგ გამოსულ 16 ქვეყანას შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთ-ერთი რუსეთი გახლდათ. მიუხედავად საქართველოს ახალი ხელისუფლების მხრიდან უკანასკნელი თვეების განმავლობაში ურთიერთობის გაუმჯობესებისკენ გადაგმული ნაბიჯებისა, ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებაში კრემლი საკუთარი პოზიციის

შერბილებას არ აპირებს, რაც კარგად გამოჩნდა სესიის დროსაც. რუსეთის წარმომადგენელმა გაეროში, ვიტალი ჩურკინმა რეზოლუცია „თანამედროვე გეოპოლიტიკურ რელობას მონყვეტილ პოლიტიზირებულ დოკუმენტად“ შეაფასა და მწუხარება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ გაერო ორი „დამოუკიდებელი ქვეყნის“, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს არ აძლევს იმ საკითხების განხილვაში მონაწილეობის უფლებას, რომლებიც მათ უშუალოდ ეხებათ. გარდა ამისა, რუსეთის წარმომადგენელი არ დაეთანხმა რეზოლუციის მოწოდებას, რომ დევნილთა დაბრუნების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ჟენევის მოლაპარაკების ფარგლებში.

რუსული დიპლომატიის გავლენა იგრძნობოდა იმ ქვეყნებზეც, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციას. საქართველოს საგარეო უწყებისთვის ეს ფაქტი იმაზე მიანიშნებს, რომ აუცილებელია მუშაობის გააქტიურება ცენტრალური ამერიკის, აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რიგ ქვეყნებთან იმისთვის, რომ მათი რიცხვი არ გაიზარდოს და ახლო მომავალში არ აღიარონ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ასევე, საყურადღებოა სერბეთის პოზიცია, რომლის სახელმწიფოებრივ ინტერესებში პირდაპირ შედიოდა ამ რეზოლუციის მხარდაჭერა, რადგანაც თავადაც იბრძვის დევნილი ეთნიკური სერბების კოსოვოში დაბრუნებისთვის. ამას თავად სერბეთის წარმომადგენელმაც გაუსვა ხაზი, მაგრამ ისაუბრა კონსერვატიული აუცილებლობაზეც. ეს იყო საკუთარი გადანყვეტილების გამართლების უსუსური მცდელობა. სერბეთის მიერ რეზოლუციის საწინააღმდეგოდ მიცემული ხმა კი, სავარაუდოდ, კრემლის კეთილგანწყობის შენარჩუნებას ემსახურებოდა.

რუსეთის გავლენიდან გამომდინარე, გასაკვირი



**■ თუმცა, პროპაგანდისტულ ხასიოს ატარებს ამ მხრივ მიღებული წარმატების დიდ გამარჯვებად შერაცხვის უკანასკნელ წლებში დამკვირდებული ტრადიცია, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა არც ამჯერად უღალატა და იაპონიის ელჩთან შეხვედრის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.**

არც ბელორუსიის პოზიცია ყოფილა, რომელმაც კიდევ ერთხელ ხმა რეზოლუციის საწინააღმდეგოდ მისცა. გასაკვირი აღბათ ის უფრო არის, ამდენ ხანს რა მექანიზმებით უმკლავდება მინსკი კრემლის ზეწოლას, რომ აფხაზეთისა და სამხეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.


რეზოლუციასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი გახლდათ ქართული მოსახლეობის მძაფრი რეაქცია მონინარმდეგეთა სიაში მყოფი სომხეთის მიმართ. საბედნიეროდ, ეს აღშფოთება სოციალურ ქსელებს არ გაცდა. სომხეთის პოზიცია, ამ შემთხვევაში, რუსულ გავლენაზე მეტად საკუთარ ინტერესებს უკავშირდება. როგორც ცნობილია, მსგავსი რეზოლუციით დევნილების დაბრუნებას

ყარაბაღის რეგიონში აზერბაიჯანიც ითხოვს, რასაც ერევანი დიდი წინააღმდეგობით ხვდება. შესაბამისად, მოულოდნელი არაფერია იმაში, რომ საქართველოსთან მიმართებაში, ანალოგიურ რეზოლუციას სომხეთმა მხარი არ დაუჭირა. სამწუხაროდ, მხარდამჭერად არც აზერბაიჯანი გვევლინება. აზერბაიჯანის წარმომადგენელმა, კენჭისყრის შემდეგ, გაპროტესტა, რომ მისი ხმა ტექნიკური მიზეზების გამო არ დაფიქსირდა, თუმცა ოფიციალურ დოკუმენტში ეს არ აისახა და მხარდამჭერად დაფიქსირდა 62 და არა 63 ქვეყანა, როგორც ეს ქართული მედიის მიერ გაშუქდა.

საინტერესოა ისიც, რომ იმ 84 ქვეყანას შორის, რომლებმაც თავი შეიკავეს, რამდენიმე საქართველოს მეგობარი ქვეყანაც აღმოჩნდა. ამ ქვეყნების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, კენჭისყრამდე, თუ მის შემდეგ, სცადა საკუთარი პოზიციის ახსნა, რაც ქართული დიპლომატიური სამსახურისთვის საყურადღებო უნდა იყოს ვითარების გასაანალიზებლად და მომავალში ამ ქვეყნებთან ინდივიდუალურად სამუშაოდ. **■**

# აფხაზეთი: 70000 ჰასანი ენიშვნაიოვნაჲს ჰითხჲაჲ

დემის პოლანდოვი, რადიო „ეხო კავკაზას“ აფხაზეთი ბლოკის რედაქტორი,  
„რადიო თავისუფლება/თავისუფალი ევროპის“ მომომხილველი



თბილისის ქუჩებში ტაბურეტებით სირბილი და ლგბტ პირთა უფლებების თითო-ოროლა დამცველზე ნადირობა, შესაძლოა, ზოგს ღვთისათვის სათნო საქმეც კი ეგონოს (რა ჩემი განსასჯელია), ძნელი საქმე კი ნამდვილად არ არის. საკუთარი ისტორიის, მეტიც, თანამედროვეობის შეუსწავლელ სიღრმეებში ქექვაზე ადვილი ხომ მაინცაა. ისე არ გავთამამდები, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას რაიმე რჩევა შევთავაზო, მაგრამ თავს უფლებას მივცემ და გამოვხატავ გარკვეულ გაცემას თუ დაბნეულობას იმის გამო, რომ არ ყოფილა შესაბამისი რეაქცია იმ მოვლენაზე, რომელიც, ალბათ, ქარ-

თული საეკლესიო ცხოვრებისთვის უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჰომოფობიის წინააღმდეგ გალაშქრებული ოციოდე უფლებადამცველის „მუქარა“.

ჯერ ახალი ამბით დავიწყოთ. გასულ კვირას, დაახლოებით 70 000-მა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, რომლებსაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია საკუთარ სულიერ შვილებად აღიარებს, განაცხადა, რომ აღარ სურს მის ნიაღში ყოფნა და სურს მხოლოდ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წევრობა. თანაც ეს გაკეთდა წერილობითი ფორმით და საკუთარი დამოკიდებულება არაორაზროვნად გამოიხატა –

მათ შეეძლოთ ეპასუხათ „არა“, და გამოკითხულთა 97%-მა მაინც ქართული ეკლესიიდან გამოყოფას მისცა ხმა.

შეიძლება, „ლიბერალის“ ზოგიერთი მკითხველი ახლა დაბნეულიც ფიქრობდეს – როგორ გამოირჩა ასეთი მნიშვნელოვანი ამბავი? როგორ? ჩვეულებრივად, რადგან გაუგებარი პლემბისციტები სადაც, თვითალიარებულ აფხაზეთში, ძალიან იშვიათად იქცევენ ქართული მასმედიის ყურადღებას, მით უფრო ახლა, ამ დღეებში სამისოდ არავის სცხელა. თუმცა, როგორც ჩემმა ქართველმა კოლეგებმა მითხრეს, ერთ-ერთმა ქართულმა არხმა მაინც გამოსცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აფხაზეთში აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ გამოკითხვა ჩატარებულა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კომენტარი, რომელიც იმავე კოლეგებმა თავაზიანად მითარგმნეს, არაფრისმთქმელი და უსუსურ იყო. ამ კომენტარში ნათქვამი იყო, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზეთს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიად მიიჩნევს. თითქოს მცხეთის საპატრიარქოში არ ესმოდათ, რომ ეკლესია ადამიანების ერთობაა, და არა ტერიტორიების. და რომ აფხაზეთის ათობით ათასი მკვიდრის სურვილი, აღარ მიეკუთვნებოდნენ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღს, არა ტერიტორიული, არამედ საეკლესიო სფეროს პრობლემა იყოს, რომელიც მხოლოდ ქართულ კი არა, მსოფლიო საეკლესიო ცხოვრების ნაწილია.

ჩემი თეზისის დადასტურებას ხამგრძლივი ლოდინი არ დასჭირდა. ამ კომენტარის მოსმენიდან მეორე დღესვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ ბერძნული ათონიდან აფხაზეთისკენ გამომგზავრებული მამა დავითი (სარსანია) გზად მსოფლიო პატრიარქს ეწვია და შინ ახალი ათონის ტაძრისთვის ბოძებული მისი საჩუქარი – ექვსი ანტიმინსი – წამოიღო. ანტიმინსი მართლმადიდებლური სინმინდეა, სელის ერთგვარი ნაჭერი, რომელშიც წმინდა ნაწილებია ჩაკერებული და მსოფლიო პატრიარქის ხელმოწერა ახლავს. სრული ლიტურგიის ჩასატარებლად, ანტიმინსი აუცილებელი ატრობუტია, მაშასადამე, მსოფლიო პატრიარქის ეს საჩუქარი იმის დასტურია, რომ აფხაზეთის ექვს ტაძარში ღვთისმსახურებებისა და საეკლესიო საიდუმლოებების აღსრულება

აუცილებელია. ამგვარად, არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც მას საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია წარმოაჩენს.

აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის „ახალგაზრდა მღვდელმთავართა“ საქმიანობა, პირადად ჩემში, დიდ აღფრთოვანებას იწვევს. ესენი გულმხურვალე მორწმუნეები, მაგრამ ცივი გონებით მოქმედი, განათლებული ადამიანები არიან. ისინი აფხაზეთი მრევლის გუნება-განწყობას საოცარი სიფაქიზით შეიგრძნობენ. ამასთან ერთად მშვენივრად ესმით „დიდი მართლმადიდებლური ოჯახის“ თამაშის წესებიც. ამ ადამიანებმა, რომლებსაც, გლობალური თვალსაზრისით, ზურგს არანაირი ძალა არ უმაგრებთ, მაინც შეძლეს აფხაზეთის ეკლესიის მწვავე და პრინციპული პრობლემების წინა პლანზე წამოწვევა. მათ არა მხოლოდ არქიმანდრიტ ბესარიონთან მოეღიით დაპირისპირება, რომელმაც აფხაზეთი ეკლესიის ქართული კლირიდან გამოსვლის შემდეგ სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის მეთაურობა იკისრა; არა, მათ წინააღმდეგაა დარაზმული უძლიერესი რუსული მართლმადიდებლური ეკლესია – ქართული ეკლესიის ერთადერთი მოკავშირე აფხაზეთის ეკლესიასთან მიმართებაში. ბედის ირონიით, რუსული და ქართული ეკლესიები, ფაქტობრივად, დაუზავდნენ „რელიგიურ სეპარატისტს“, აფხაზეთის ეპარქიის მეთაურ, ბესარიონ აპლიას, მაგრამ ახალი ათონის ახალგაზრდა ბერების პატარა ჯგუფს მაინც ვერ სძლიეს.

აქ, რა თქმა უნდა, მათი, ანუ აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის მიმართ ხელისუფლების დაუფარავი მხარდაჭერაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა მიტროპოლიის მღვდლების ძალა მაინც სახალხო მხარდაჭერაში, ასე ვთქვათ, საეკლესიო დემოკრატიაში დევს. თუ როგორაა ამ მხრივ საქმე ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ ვითარება დაახლოებით ისეთია, როგორც რუსეთში, სადაც საეკლესიო სფეროში პროცესების დემოკრატიზაციის ნებისმიერი მცდელობა, საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში, მკაცრად აღიკვეთებოდა ხოლმე. რუსეთში საეკლესიო ლიბერალიზმი და დემოკრატია ვერ ხარობს. მცირერიცხოვანმა აფხაზეთმა საზოგადოებამ კი მოახერხა და კიდევ ერთხელ უჩვენა ამ სფეროში თუნდაც გულუბრყვილო

■ **ჯერ ახალი ამბით დაიწყოთ. გასულ კვირას, დაახლოებით 70 000-მა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა, რომლებსაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია საკუთარ სულიერ შვილებად აღიარებს, განაცხადა, რომ აღარ სურს მის წიაღში ყოფნა და სურს მხოლოდ მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის წევრობა. თანაც ეს გაკეთდა წერილობითი ფორმით და საკუთარი დამოკიდებულება არაორაზროვნად გამოიხატა.**

■ მესმის, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს რთული ბუნება აქვს. თითოეულ მხარეს მისთვის ხელსაყრელი – ისტორიული, სამართლებრივი და ა.შ. – არგუმენტები აქვს. მაგრამ ამ კონფლიქტის პოლიტიკური ასპექტები ერთ სიბრტყეში დევს, ხოლო რელიგიური – სულ სხვაში. ამის მტკიცებულებად ის ფაქტიც გამოდგება, რომ, მართალია, რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მიუხედავად ამისა, რუსული ეკლესია აფხაზეთს კვლავ ქართული ეკლესიის კანონიერ მფლობელად მიიჩნევს. ანუ, საეკლესიო თემა – განსხვავებული გამორჩეული საკითხია.

და პირველყოფილი დემოკრატია. მიტროპოლიის მღვდლებმა მოახერხეს ადამიანების დაზარალება და ხალხი მათ გაჰყვა. ხელში ტაბურეტები კი არ აუღიათ და ვინმეს საცემად კი არ გაუწევიათ – სიძულვილში გაერთიანება ადვილია – ნამდვილ რისკზე წავიდნენ, საკუთარი უფლებების შესახებ ხმამაღლა განაცხადეს, ფაქტობრივად, ორი ათწლეულის განმავლობაში, აფხაზეთისათვის მართლმადიდებლობის ერთადერთი ხელმისწავდომი (თუნდაც კანონების დარღვევით) წყაროს – რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

რამდენადაც ვიცი, ქართველ ლიბერალებს შორის „ახალგაზრდა აფხაზი მღვდელმსახურების“ მიმართ ერთგვარი სიმპათიაც კი არსებობს. არცაა გასაკვირი. მათ რომ მართლაც გააჩნდეთ ის გულწრფელობა, რომელიც ადამიანების გულს იპყრობს. ერთხელ მიტროპოლიის მღვდლებს აფხაზური საზომით, ცოტა არ იყოს, პროვოკაციული კითხვა დაეუსვი: რა ენაზე უნდა ტარდებოდეს წირვა-ლოცვა გალის რაიონში? მამა დავით სარსანიასგან მკაფიო პასუხი მივიღე:

„იმ ენაზე, რომელზეც მრევლი მეტყველებს. თუ ტაძრის მრევლი ქართულენოვანია, მაშინ წირვა ქართულ ენაზე უნდა აღსრულდეს. აფხაზური ეკლესიის წიაღში ქართველებს, რუსებს, ბერძნებს – ყველას მშობლიურ ენაზე უნდა ჰქონდეს წირვის უფლება. ჩვენ გვინდა გვქონდეს აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესია, აფხაზეთში კი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობს.“

გულწრფელად ვიტყვი, ასეთ პასუხს არ მოველოდი. ნშირად ვამბობ-ხოლმე, რომ ნაციონალიზმი ყველა კავკასიელ ერში დაახლოებით თანაბრად გავრცელებული, განსხვავება მხოლოდ ის არის, რამდენად ავლენენ მას. მეტსაც ვიტყვი, მამა დავითმა იგივე მოსაზრება უკანასკნელი დღეების პრეს-კონფერენციაზეც გამოთქვა, ახლა უკვე მთელი აფხაზი მართლმადიდებელი აუდიტორიის წინაშე.

მესმის, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს რთული ბუნება აქვს. თითოეულ მხარეს მისთვის ხელსაყრელი – ისტორიული, სამართლებრივი და ა.შ. – არგუმენტები აქვს. მაგრამ ამ კონფლიქტის პოლიტიკური ასპექტები ერთ სიბრტყეში დევს, ხოლო რელიგიური – სულ სხვაში. ამის მტკიცებულებად ის ფაქტიც გამოდგება, რომ, მართალია,

რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, მიუხედავად ამისა, რუსული ეკლესია აფხაზეთს კვლავ ქართული ეკლესიის კანონიერ მფლობელად მიიჩნევს. ანუ, საეკლესიო თემა – განსხვავებული გამორჩეული საკითხია. ჩემი აზრით, აფხაზეთის რელიგიურ დამოუკიდებლობას, განსაკუთრებით იმ ვერსიით, რომელსაც აფხაზეთის წმინდა მიტროპოლია გეთავაზობს, არსებობის გაცილებით მეტი მორალური უფლება გააჩნია, ვიდრე აფხაზეთის ნაციონალურ სახელმწიფოს. აქ დევნილების საკითხიც არ წარმოადგენს დაბრკოლებას, თემა, რომელიც აფხაზეთის დამოუკიდებლობის გზაზე უზარმაზარ საჯილდაო ქვად დევს. მთელი ერის ძალით შერეკვა მისთვის უცხო ნაციონალურ ეკლესიაში და უცხო ენაზე ლოცვის დაძალება – ოცდამეერთე საუკუნეში ულტრაკონსერვატიული მართლმადიდებლური ეკლესიისთვისაც კი მეტისმეტია.

ძალიან მალე აფხაზეთის მართლმადიდებელი ხალხის ახალი კრება უნდა ჩატარდეს. რუსულმა ეკლესიამ, მამა ბესარიონის პირით, უკვე გამოხატა პროტესტი ამ ღონისძიების მიმართ. გასაგებია, რომ ქართული ეკლესიაც მისი წინააღმდეგია. მესმის ამ მიუღებლობის მიზეზები და წყაროები. საქმე ის სულაც არაა, რომ აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის კლირიკები ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მოკავშირე რუსული ეკლესიის „მონინააღმდეგის“ – კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხარეს წარმოადგენენ. გაურკვეველია, აცნობიერებენ თუ არა ამას ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში, მაგრამ ძირითადი პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ამ რიგით აფხაზ ბერებს საეკლესიო საკითხი ისე გამოაქვთ განსახილველად, რომ ზურგს, მხოლოდ და მხოლოდ, 70 ათასი ხმა უმაგრებთ. სხვა არაფერი. ცოტაა ეს თუ ბევრი, დრო გვიჩვენებს. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, „ლიბერალისა“ და სხვენებული ფონდის ერთობლივი პროექტის, „სამხრეთ კავკასიის ხმების“ ფარგლებში. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია, შესაძლოა, არ თანხვედბოდეს ჟურნალის რედაქციისა და ბოლის ფონდის პოზიციას.

**FlyGeorgia**  
The world awaits you

თბილისი-ბრიუსელი-თბილისი



ორი გზა  
**400**  
ლარიდან

[www.flygeorgia.com](http://www.flygeorgia.com)

+ (995) 32 2 71 00 00



ფოტო: ლევან სირხაულაძე

## საყოველთაო ჯანდაცვის მეოხე ეტაპი

ინტერვიუ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრ  
**დავით სერგეენკოსთან**

საყოველთაო დაზღვევის პირველი ეტაპი დასრულდა. როგორ აფასებს  
ჯანდაცვის მინისტრი მიმდინარე პროგრამას, რას გულისხმობს  
საბაზო სადაზღვევო პაკეტი და როდის მოიცავს სადაზღვევო პაკეტი  
მედიკამენტების ანაზღაურების კომპონენტს?



**ბატონო დავით, საყოველთაო ჯანდაცვის პირველი ეტაპი დასასრულს უახლოვდება. თებერვლიდან სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში ორ მილიონამდე ადამიანი ჩაერთო. როგორ აფასებთ მიმდინარე პროექტს? როგორ გაართვა სოციალური მომსახურების სააგენტომ თავი პროგრამის ადმინისტრირებას?**

ყველა ინდიკატორით, რაც ჩვენ მონიტორინგისთვის გვექონდა ჩაღებული, ეს პროექტი წარმატებულად მიმდინარეობს. პირველ რიგში კი – პაციენტებისთვის. 50 ათასამდე პაციენტმა მიიღო გადაუდებელი სტაციონარული თუ ამბოლატორიული დახმარება. მილიონ სამასი ათასი პაციენტი დარეგისტრირდა პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში. დარეგისტრირდა ამ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ მან სერვისი მიიღო. საშუალო სტატისტიკით, პირველადი ჯანდაცვის სერვისები, ორასათასამდე პაციენტმა მიიღო. მოგეხსენებათ, რომ პირველი ეტაპი მოიცავდა მხოლოდ ოჯახის ექიმის კონსულტაციას და გადაუდებელი მდგომარეობების მართვას. ადმინისტრირების კუთხით, პირველ ეტაპზე, ძირითადად სირთულეებმა ინფორმაციის ატვირთვისა და გაცვლის კუთხით იჩინა თავი, თუმცა აღნიშნული ხარვეზები დროულად აღმოიფხვრა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ხარისხის კონტროლის და ზარალების მართვის სამსახურმა ძალიან კარგად იმუშავა. თვითონ სამედიცინო დაწესებულებების პოზიცია ამ პროექტის მიმართ დადებითია. პაციენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ვისაც ეს სერვისი დასჭირდა, დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს, თუმცა, ზოგადად, საზოგადოების მოლოდინი ყოველთვის აღემატება რეალობას. მოლოდინები მაღალია და ამ მოლოდინებს, დიდწილად, ივლისიდან გაფართოებული პრო-

ექტის ძალაში შესვლის შემდეგ გავეუმართლებთ. საბოლოოდ, ეს პროექტი წარმატებულია.

**ივლისიდან მინიმალურ სადაზღვევო პაკეტს საბაზო პაკეტი ჩაანაცვლებს, როგორი სახის მომსახურებები შევა ახალ პაკეტში?**

საყოველთაო ჯანდაცვაში რამდენიმე ცვლილება განხორციელდება და ყველა მათგანი მიმართული იქნება ესკალაციის, გაფართოებისა და გაუმჯობესებისკენ. ეს პროგრამა ჯერ ოფიციალურ დოკუმენტად წარდგენილი არ არის იმიტომ, რომ ეს სამუშაო, 28 თებერვლის პროექტის მსგავსად, ინტენსიურად ხორციელდება და ყოველდღე და ყოველ საათს ზუსტდება. დღეს დილითაც, ორსაათიანი შეხვედრა გვექონდა და რამდენიმე ასეული საკითხიდან, შვიდი ტექნიკური საკითხი გამოიკვეთა, რომელსაც კიდევ ვაზუსტებთ. ჩემი აზრით, როცა ეს საკითხები დაზუსტდება, ეს დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომი გახდება.

რა გაიზრდება და რა შეიცვლება პირველ ივლისს? თუ ამჟამად ტორიულ ნაწილში იყო მხოლოდ ოჯახის ექიმთან ვიზიტი და სამი ანალიზი, ახლა ეს სერვისი უფრო მრავალფეროვანი გახდება და დაემატება ექიმ-სპეციალისტებთან (კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი) ვიზიტები.

სამი საბაზო ანალიზი გამდიდრდება და მას დაემატება ისეთი დიდი პაკეტები, როგორიც არის: ფარისებრი ჯირკვლის კვლევა, ლვიძლის ფუნქციების კვლევა, ხოლესტერინი, ლიპიდური სპექტრები და ა.შ. ეს მოცემულობებიც ამბულატორიულ ნაწილში ფართოვდება. რაც შეეხება სტაციონალურ ნაწილს, დღევანდელი მდგომარეობით, მოიაზრებოდა მხოლოდ გადაუდებელი მდგომარე-

ობების მართვა, რომელიც განერილი იყო პოზიტიურ სიაში. პირველი ივლისიდან, მოდელი შეიცვლება და ნებისმიერი გეგმიური ჩარევა დაფინანსდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც განერილი იქნება ნეგატიურ სიაში. ეს ნეგატიური სია იქნება ისეთივე, როგორიც არსებულ სადაზღვევო პაკეტებშია შესული და გაითვალისწინებს გეგმიური მომსახურების ძალიან დიდ სპექტრს.

**როგორ დააფინანსებს მშობიარობას ახალი სადაზღვევო პაკეტი?**

ახალი სადაზღვევო პაკეტი მშობიარობას 100 პროცენტით, ანუ თანაგადახდის გარეშე დააფინანსებს. ფასწარმოქმნის ლოგიკა იგივეა, რაც წინა პროექტში. დაწესებულებებმა მოგვანოდეს თავიანთი ფასები, მოხდა სტატისტიკური დამუშავება და დადგინდა რეალური ფასი. სხვადასხვა დაწესებულებებში სხვადასხვა ფასია, ეს ბიზნესგეგმაზე, სახელფასო პოლიტიკაზე, არაპირდაპირ ხარჯებზეა დამოკიდებული. ჩვენ ვიღებთ რეალურ ზღვარს, რომელიც განხორციელებადია და რომლითაც შესაძლებელი იქნება დაწესებულებების მუშაობა. თუ ვინმეს სურვილი ექნება, რომ უფრო ძვირიან კლინიკაში პირადი ექიმის სერვისით ისარგებლოს და ა.შ., დანამატს თავად გადაიხდის. ანუ სახელმწიფო დაზღვევა დააფინანსებს მშობიარობას, საკეისრო კვეთას, ორსულობის მონიტორინგს და გართულებული მშობიარობის მართვას.

**როგორ ფიქრობთ, საქართველოში სამედიცინო ინფრასტრუქტურა მზად არის გეგმიური სერვისებით 4 მილიონამდე დაზღვეული მოქალაქე უზრუნველყოს?**

ჩვენ სამედიცინო ინფრასტრუქტურის შეფასება ჯერ კიდევ

თებერვალში დავასრულეთ. ეს ინფორმაცია უკვე გვექონდა პირველი პროექტის დაწყების წინ. ვიცით ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულების რესურსები. ჩვენი შეფასებით, ამან არ უნდა გამოიწვიოს რაიმე გამოუვალი მდგომარეობა, გეგმიური სერვისების უზრუნველსაყოფად რესურსი საკმარისი უნდა იყოს.

თუ არსებული სადაზღვევო პაკეტებით გეგმიური ქირურგიული ოპერაციების გაკეთება მიმართვის შემდეგ 4-დან 6 თვემდე აქტიურდებოდა, ჩვენ ეს ვადები შევამცირეთ და დაზღვეულ მოქალაქეს მიმართვიდან არაუმეტეს ორი თვის განმავლობაში ჩაუტარდება ოპერაცია. ამ ორი თვის განმავლობაში მოხდება ინდივიდუალური განხილვა. პირველ რიგში დაკმაყოფილდება ის, ვინც ყველაზე მეტად საჭიროებს ამას და გათვალისწინებული იქნება სამედიცინო დაწესებულებების გამტარუნარიანობა. კიდევ ერთი სიახლე – გეგმიური შემთხვევების დროსაც პაციენტს ვაძლევთ თავისუფალი არჩევნის უფლებას. დავუშვავთ, სჭირდება კონკრეტული ოპერაცია. ჩვენ გავაცნობთ განფასებებს, მივცემთ თავისუფალი არჩევნის უფლებას და ის თვითონ აირჩევს სამედიცინო დაწესებულებას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სამედიცინო დაწესებულებების უმრავლესობას სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს პროგრამაში.

**ჯანდაცვის მთლიანი ხარჯების სტრუქტურის მიხედვით, ყველაზე მზარდი და არაბუნებრივად დიდი წილი, სწორედ, ფარმაცევტულ პროდუქტებზე მოდის. დაფარავს თუ არა წამლის კომპონენტს საბაზო პაკეტი?**

პირველი ივლისის გაფართოებაში უმწიკვეს და პენსიონერებს დაუფინანსდებათ ის, რაც აქამდე მოქმედი პაკეტით უფინანსდებოდათ. რაც

შეეხება 28 თებერვალამდე დაზღვეულ მოქალაქეებს, ამ ეტაპზე მათი მედიკამენტებით უზრუნველყოფა რამდენიმე მიზეზით არ ხერხდება.

მედიკამენტები სადაზღვევო პაკეტში რომ შევიტანოთ, ბაზრის კანონების მიხედვით, წამლის ფასების ზრდა მექანიკურად, 60%-დან

**■ სამი საბაზო ანალიზი გამდიდრდება და მას დაემატება ისეთი დიდი პაკეტები, როგორც არის: ფარისებრი ჯირკვლის კვლევა, ღვიძლის ფუნქციების კვლევა, ხოლესტერინი, ლიპიდური სპექტრები და ა.შ. ეს მოცემულობებიც ამბულატორიულ ნაწილში ფართოვდება. რაც შეეხება სტაციონალურ ნაწილს, დღევანდელი მდგომარეობით, მოიაზრებოდა მხოლოდ გადაუდებელი მდგომარეობების მართვა, რომელიც განერილი იყო პოზიტიურ სიაში. პირველი ივლისიდან, მოდელი შეიცვლება და ნებისმიერი გეგმიური ჩარევა დაფინანსდება, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც განერილი იქნება ნეგატიურ სიაში.**

80%-მდე მოხდება. ჩვენ ახლაც ვმუშაობთ, ახლაც საქართველოშია მსოფლიო ბანკის ექსპერტი, რომელიც სწორედ იმისთვის მოვიწვიეთ, რომ ამ მიმართულებით სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა დავასრულოთ. ვფიქრობ, რომ ამას

დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს და ამ პროექტის მორიგი გადახედვა შემოდგომაზე დაგეგმილი. ჩემი ოპტიმისტური გათვლებით, შევძლებთ, რომ სამოცპროცენტიანი დანახარჯი შევამციროთ, ამის შემდეგ კი შევძლებთ მედიკამენტების სადაზღვევო პაკეტში შეტანას.

**როგორ აპირებთ მედიკამენტებზე განუვლი ხარჯების შემცირებას?**

შემიძლია ეს კონცეფციის დონეზე გითხრა, რადგან დოკუმენტზე მუშაობა ჯერ დასრულებული არ არის. წამლებზე მაღალ დანახარჯს ორი ფაქტორი იწვევს: თავისთავად წამლის მაღალი ფასი და არასაჭირო მედიკამენტების გამოწერის პრაქტიკა. რაც შეეხება წამლის მაღალ ფასს, აქ საჭიროა კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა, რომელიც უმძლავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს.

ამასთან გვაქვს გეგმა, რომელიც დამუშავების ეტაპზეა და ამ ეტაპზე მხოლოდ სათაურის გამხელა შემიძლია – „სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ინსტიტუტის გაღრმავება“ – ეს თანამშრომლობა მოიზარება, როგორც სოციალურ, ისე ჯანდაცვითი მიმართულებებით. ეს ყველა ქვეყანაში წარმოადგენს მსგავსი ამოცანების გადასაჭრელ უმძლავრეს იარაღს. ჩვენ მონობეზულები ვართ, რომ ხელი შევუწყოთ ადგილობრივ წარმოებას ყველაფერში, მათ შორის, მედიკამენტებში. იმისთვის, რომ ჩვენ ეს ეფექტურად გავაკეთოთ, უნდა გვექონდეს წამლის ხარისხის კონტროლის ეფექტური სისტემა, რომელიც ახლა ნაწილობრივ მუშაობს და არ არის საერთაშორისო სტანდარტის.

თუმცა არც ასეთი ეფექტური სისტემის შექმნაა შორი პერსპექტივა.

როგორც კი ვუზრუნველყოფთ წამლის ხარისხის კონტროლს,

Part of the  
ProCredit Group



პროკრედიტ ბანკი  
ProCredit Bank

Georgia



# ძლიერი ბანკი

## ჩემი ბიზნესის წახმარებლისთვის!



\*22 22



220 22 22



procreditbank.ge

რეალურ კონკურენციას ფარმაკოლოგიურ ბაზარზე და დავაფუძნებთ სახელმწიფო და კერძო პარტნიორობის ინსტიტუტს, საზოგადოება უკვე დაინახავს რამდენად ეფექტური იქნება ეს მეთოდები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

## როგორ გეგმავთ არასაჭირო მედიკამენტების დანიშვნის პრაქტიკის აღმოფხვრას?

თანამდეროვე მედიცინის მთავარი კონცეფციებიდან ერთ-ერთი მთავარი ხარჯეფექტური მკურნალობის მეთოდია. ხარჯეფექტური არ ნიშნავს იაფიან მკურნალობას. ეს არის ფასისა და ხარისხის კარგი შეფარდება. მაგალითად, თუ შეგიძლია ორი მედიკამენტით მოარჩინო, არ უნდა გამოწერო დამატებითი წამლები. ხშირად გვხვდება შემთხვევები, როცა ექიმები დაინტერესებულნი არიან გამოწერონ სხვადასხვა მედიკამენტი. მე ამას კორუფციულ გარიგებას არ დავარქმევდი, ეს უპირველეს ყოვლისა თანამდეროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული საერთაშორისო პროტოკოლების არცოდნაა. პროტოკოლების მთავარი მოტივი სწორედ ხარჯეფექტური მკურნალობაა და ეს იქნება უმძლავრესი ისტრუმენტი.

## გეგმავთ თუ არა რეცეპტების სისტემის აღდგენას?

რეცეპტების სისტემების აღდგენა, ჩვენი წინასწარი ანალიზით და სტრატეგიით, აუცილებელია. ეს არ არის მხოლოდ კონტროლის ინსტრუმენტი, მას აქვს ბევრი სხვა დადებითი მხარე. ჩვენ გვინდა ოპტიმალური მოდელის შემოღება. ყველაზე მკაცრი რეგულირებაა, როცა ყველაფერი იყიდება რეცეპტით, გარდა ტკივილგამაყუჩებელი და პოლივიტამინური პრეპარატებისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წავიდეთ

ნაბიჯ-ნაბიჯ და ლოტების მიხედვით დავნერგოთ რეცეპტი. მაგალითად, გულსისხლძარღვთა დაავადებების მედიკამენტებზე და ანტიბიოტიკებზე. გარდა ამისა, არსებული რეცეპტების სისტემა, რომელიც არეგულირებს ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გაცემას, მკაცრ ადმინისტრირებას საჭიროებს. ხშირად არის შემთხვევები, როცა ხდება ურეცეპტოდ გაცემა, რადგან სანქციები არ არის საკმარისად მკაცრი.

## ■ წამლებზე მაღალ

### დანახარჯს ორი ფაქტორი

ინვეს: თავისთავად წამლის

მაღალი ფასი და არასაჭირო

მედიკამენტების გამოწერის

პრაქტიკა. რაც შეეხება წამლის

მაღალ ფასს, აქ საჭიროა

კონკურენტული გარემოს

ხელშეწყობა, რომელიც

უმძლავრეს ინსტრუმენტს

წარმოადგენს.

350-400 ათასი ადამიანი კორპორაციული დაზღვევით სარგებლობს. გაგრძელდება კორპორაციული დაზღვევა?

სადაზღვევო ინდუსტრია, ჩვენი სტრატეგიის მიხედვით, აუცილებლად უნდა დარჩეს სამედიცინო ბაზარზე. ჩვენ გვაქვს მათთან კომუნიკაცია, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი გამოხატავენ უკმაყოფილებას, რომ ეს კომუნიკაცია არასაკმარისია, რაშიც ვერ დავეთანხმებით.

ჯერ-ჯერობით კორპორაციული დაზღვევა ძალაში რჩება. სახელ-

მწიფო უკლებლივ ყველა მოქალაქეს უახლოეს მომავალში დააზღვევს, რომ ისინი საბაზო სამედიცინო სერვისებით იყვნენ უზურნველყოფილი. ამ საბაზო სერვისების მიღმა რჩება საკმარისზე დიდი ველი, რათა კერძო სადაზღვევო კომპანიები გადაეწეონ და შესთავაზონ შესაბამისი მომსახურება. თქვენი ნებართვით დავაკონკრეტებ – თუ აქამდე კორპორატიული დაზღვევას ადამიანი 50 ლარად ყიდულობდა, აქედან, საშუალოდ, 30 ლარის სერვისებს სახელმწიფო უზურნველყოფს. შესაბამისად, კერძო სადაზღვევოებსაც მიეცემათ სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის შესაძლებლობა.

კერძო სადაზღვევო კომპანიები ჩივიან, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ უარი თქვა ჰოსპიტალური განვითარების მეორე ეტაპის გახორციელებაზე და გააჩერა ყველა კერძო საინვესტიციო პროექტი...

ის ვალდებულებები, რაც ალებული იყო, აუცილებლად უნდა შესრულდეს. სადაზღვევო კომპანიებისთვის არ მიგვიმართავს არც ერთი პროექტის შეჩერების მოთხოვნით. ყველა პროექტი ძალაშია. ჩემთვის გასაგებია ის სიფრთხილე, რასაც იჩენენ სადაზღვეოები. მე არაერთხელ ვუთხარი მათ, რომ ეს პროექტები უნდა დასრულდეს სექტემბრისთვის. თუ ეს ასე არ მოხდა და ისინი დაგვისაბუთებენ, რატომ არ მოხდა პროექტის დროულად განხორციელება, და მიზეზებიც ობიექტური ექნებათ, მათ არ მიეცემათ საჯარიმო სანქცია და მიეცემათ მხოლოდ დამატებითი ვადა პროექტის განხორციელებისთვის. ■

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი



სს "ნაგალი მარბეჟელი"



15 წლისაა



# თქვენი ჯანმრთელობისა და სილამაზის სამსახურში!

ჩვენ, პსპ-ს პროფესიონალთა გუნდი, 171 ავთიაქი საქართველოს მასშტაბით, ყოველდღიურად 24 საათი ვმუშაობთ იმისთვის, რომ თითოეული მოქალაქისთვის ყველაზე ადვილად და სანდო გავხადოთ ჯანმრთელობასა და სილამაზაზე ზრუნვა

ჩვენ გავაერთიანეთ 2 მთავარი პირობა: დაბალი ფასი და ძალიან ფართო ასორტიმენტი, რომელიც მედიცინისა და კოსმეტიკის დარგში არსებული სიახლეების ყველაზე კვლადკვალ ფართოდ ვრცელდება. ამის დასტური ბოლო წლის სიახლე - გერმანული წარმოების მსოფლიოში ცნობილი ბრენდის "სებამედის" პროდუქციაა, რომელიც ევროპის და აზიის მრავალ ქვეყანაში კოსმეტიკურ ბრენდებს შორის ამ ქვეყნის ბაზრების ლიდერია.

დაბალი ფასები ვრცელდება ავთიაქის სრულ ასორტიმენტზე, მიუხედავად ამისა, მუდმივად გარკვეულ პროდუქციაზე დამატებითი აქციებიც; ამჟამად პსპ-ავთიაქებში 70 ყველაზე მოთხოვნად პრეპარატებსა და 100-ზე მეტ ჰიგიენისა და კოსმეტიკის საშუალებაზე ექსკლუზიურად დაბალი ფასების აქციაა.

პსპ-ს სრულიად ახალი ფორმატის ფარმამარკეტის შექმნის მიზანი მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ფართო ასორტიმენტი (30 000 დასახლების პროდუქტი) ოჯახის ყველა წევრის ჯანმრთელობისა და სილამაზეზე ზრუნვისთვის. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის კომფორტული გარემოა, სადაც მომხმარებელს ღია თაროებზე განლაგებული ყველა საჭირო პროდუქტის თავად არჩევა შეუძლია, იქნება ეს ურეცეპტოდ გასაცემი პრეპარატები (მაგ. გრიპის, გაციების, თავის ტკივილის და ა. შ.), თუ ჰიგიენის, კოსმეტიკის, საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებები, სათამაშოები, წიგნები, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვ.

რას ანიჭებთ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ავთიაქის შერჩევასა?

- დაბალი ფასი
- მრავალფეროვანი ასორტიმენტი
- კარგი მომსახურება
- მაღალი ხარისხი

**PSP №1**  
ჩვენი ოჯახის ავთიაქი

თუ თქვენთვის ყველა პუნქტი ერთნაირად მნიშვნელოვანია და გიჭირთ ერთ-ერთის გამორჩევა, მაშინ აირჩიეთ პე-ეს-პე თქვენი ოჯახის ავთიაქი და მიიღებთ ყველაფერ ამას ... და კიდევ უფრო მეტს

- ჩვენ გთავაზობთ მხოლოდ ხარისხიანი ფარმაცევტული, ჰიგიენისა და კოსმეტიკური საშუალებების ყველაზე ფართო არჩევანს
- ყველაზე დაბალ ფასებს
- პროფესიონალთა მაღალკვალიფიციურ მომსახურებას
- ყველაფერს, რაც თქვენ ჯანმრთელობასა და სილამაზეზე ზრუნვაში დაგეხმარებათ და
- იმისთვის, რომ ავთიაქში მისვლა თქვენთვის სასიამოვნოდ ვაქციოთ მუდმივად ვატარებთ სხვადასხვა ტიპის აქციებს, წამახალისებელ გათამაშებებს ყველაზე სერიოზული პრიზებით
- გიბრუნებთ დახარჯული თანხის 5-10% დაგროვებითი ფასდაკლების ბარათზე
- საჩუქრებს ყველაზე მარვალფეროვანი სასაჩუქრე კატალოგიდან
- გათამაშების ბილეთებს

6 გათამაშებაში 84-მა ოჯახმა ძვირადღირებული პრიზი მოიგო, გათამაშებულია 21 ახალი ავტომობილი

2013 წელს პსპ 10 ახალ ავტომობილს ათამაშებს!





## ჩემი ოჯახის აფთიაქი

“PSP” 17 წელია მომხმარებლისთვის ხარისხის გარანტია. ჩვენი სტრატეგიაა - მომხმარებელს შევთავაზოთ დაბალი ფასები და ფართო არჩევანი, პროფესიონალთა კვალიფიციური კონსულტაცია და მაღალი ხარისხის მომსახურება.

სწორედ ამიტომ ყოველთვიურად 2 მლნ მომხმარებელი ირჩევს PSP-ს თავის ოჯახის აფთიაქად. თბილისსა და საქართველოს რეგიონულ ცენტრებში 171 PSP აფთიაქი მომხმარებელს გარანტირებული ხარისხის 10 000-ზე მეტ პროდუქტს სთავაზობს ყველაზე დაბალ ფასად. დაბალი ფასის გარდა მხოლოდ PSP-ს მომხმარებელი სარგებლობს დამატებითი 5-10% ფასდაკლების დაგროვების სისტემით “ჩემი ოჯახის ბარათზე”.

საერთაშორისო ფარმაცევტული სტანდარტის პირველი ქართული წარმოება ჯი-ემ-პი, PSP-ს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია. ქართული მედიკამენტების პოპულარობა საქართველოს ფარგლებს გასცდა; 13 წლის განმავლობაში მილიონზე მეტი წარმატებით ნამკურნალები პაციენტი საქართველოსა და საზღვარგარეთ. ყოველწლიურად ექსპორტის მოცულობა ორმაგდება, რითაც კომპანიას თავის წვლილი შეაქვს საქართველოს ეკონომიკისა და ფარმაცის განვითარებაში.



PSP დაზღვევა 2011 წლიდან ფუნქციონირებს და მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, უკვე 100-მდე კომპანიის 80 000-ზე მეტი დაზღვეული ჰყავს კორპორატიული ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით. PSP დაზღვევა გამოირჩევა კომფორტული და ხარისხიანი მომსახურებით, სტომატოლოგიური და მულტი-პროფილური კლინიკა-პროვაიდერების ფართო არჩევანით.

PSP დაზღვევა ზაფხულიდან ავტომობილების მფლობელებს ავტოდაზღვევის ყველაზე ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს.



ნიუ ჰოსპიტალსი PSP ჯგუფის ყველაზე მასშტაბური და ახალი პროექტია. 2011 წლის სექტემბრიდან ნიუ ჰოსპიტალსს 1000 ამბულატორული და 150 ჰოსპიტალური პაციენტის მიღება შეუძლია. ჰოსპიტალი ადჭურვილია უახლესი და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიითა და აპარატურით. თანამშრომელთა გუნდი დაკომპლექტებულია კვალიფიციური ექიმებით, რომლებსაც ამერიკისა და ევროპის წამყვან კლინიკებში მუშაობის გამოცდილება აქვთ. ნიუ ჰოსპიტალსში ასევე შესაძლებელია მსოფლიოს წამყვანი კლინიკებიდან მოწვეულ უცხოელ სპეციალისტებთან სამედიცინო მომსახურების მიღება.



მედიკამენტებს PSP-ს უშუალოდ მსოფლიოს წამყვანი 100-ზე მეტი ქარხანა აწვდის. PSP-ში თითოეული წამლისთვის შესაბამისი შენახვის პირობებია; იგივე დაცულია მათი აფთიაქებში ტრანსპორტირების დროსაც - ამიტომ PSP -ში მედიკამენტის გარანტირებული ხარისხი შენარჩუნებულია მწარმოებელთან მომხმარებელთან მოხვედრამდე.

2012 წელს სსპ-ფარმა პირველი სადისტრიბუციო კომპანია გახდა საქართველოში, რომელსაც აკრედიტებული მასერტიფიცირებული ორგანოს TÜV-Reinalds-ის მიერ მედიკამენტებისა და პარაფარმაცევტული პროდუქციის დისტრიბუციის დარგში მიენიჭა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001-2008.



www.psp.ge

# ნაშლის ტვიხი

საქართველოს შინამეურნეობების მიერ სამედიცინო სერვისებზე განეული ხარჯების 60%-ი მედიკამენტებზე იხარჯება, სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებით კი ნამლები მინიმალურად ფინანსდება. რატომ ხარჯავს საქართველოს მოსახლეობა ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯების 60%-ს მედიკამენტებზე და როგორ უნდა გაზარდოს სახელმწიფომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა?

ლიკა ზაკაშვილი



საქართველოს ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების მონაცემებით, საქართველოში შინამეურნეობების მიერ სამედიცინო სერვისებზე განეული ხარჯების 60% მედიკამენტებზე იხარჯება.

„მოსახლებას მძიმე ტვირთად აწევს სამკურნალო საშუალებებზე დანახარჯები, რომელიც, უკანსაკნელი ათი წლის განმავლობაში გამუდმებით იზრდება და მათ მიერ ჯანდაცვისთვის გაღებული სახრების



თითქმის ნახევარს შეადგენს“, – ვკითხულობთ ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიშში.

ანგარიშის მიხედვით, მედიკამენტებზე მაღალი დანახარჯი, ძირითადად, არარაციონალური ფარმაკოთერაპიის, გენერიკული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენების/დანიშვნის, რეცეპტების მექანიზმების არასაკმარისი გამოყენების, პაციენტთა მიერ თვითმკურნალობის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მედიკამენტების არასაკმარისი ფინანსური ლიმიტის, ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან აგრესიული მარკეტინგის შედეგია.

მას შემდეგ რაც დაზღვევით მოცული მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა, გაიზარდა ჰოსპიტალურ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაც. (შეგახსენებთ, რომ 2006 წლიდან სახელმწიფო სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აზღვევდა. ყოველიურად სახელმწიფო დაზღვევის ქოლგის ქვეშ შემავალი მოსახლეობის რიცხვი იზრდებოდა. სულ ბოლოს, 2012 წლის სექტემბრიდან, სახელმწიფო დაზღვევა პენსიონერებს, ახალგაზრდებს და 5 წლამდე ასაკის ბავშვებს გადაეცათ).

დაზღვეულ ადამიანებს საკუთარი ჯიბიდან აღარ უწევთ ჰოსპიტალურ სერვისში ფულის გადახდა, თუმცა სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტში მედიკამენტების დაბალი ლიმიტის გამო, მედიკამენტების შეძენით გამოწვეული ფინანსური ტვირთის ზიდვა ისევ მოსახლეობას უწევს.

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობისა და ჯანდაცვითი დანახარჯების 2010 წლის კვლევის მონაცემებით, როგორც სოფლად ისე ქალაქად მცხოვრები პირების მნიშვნელოვან რაოდენობას (13%-ს), სიძვირის გამო, არ შეუძლია თავს უფლება მისცეს და დანიშნული მედიკამენტები შეიძინოს.

ასეთი რეალობის გათვალისწინებით, მოქმედი და წინა მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა მედიკამენტებზე ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

რატომ ხარჯავს საქართველოს მოსახლეობა ჯანდაცვის მთლიანი დანახარჯების 60%-ს მედიკამენტებზე?

მედიკამენტებზე მაღალი დანახარჯი, ძირითადად, მედიკამენტების არარაციონალური დანიშვნის შედეგია, რაც ნიშნავს იმას, რომ ექიმები, ხშირად, საჭიროზე მეტ ნამლებს წერენ, „რაც ფინანსური ხელმისაწვდომობის ბარიერებს ქმნის, განსაკუთრებით კი დაუზღვეველ მოსახლეობაში“, – ვკითხულობთ „საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის“ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშში. ანგარიშის მიხედვით, გამოკითხულთა 63%-ი დანიშნული მედიკამენტების რაოდენობას სწორედ ფასის გამო ვერ ყიდულობს.

ამავე კვლევის მიხედვით, 40%-ზე მეტ შემთხვევაში, ექიმების მიერ 3 და მეტი მედიკამენტი ინიშნება.

პაციენტს ფინანსურ ბარიერს მხოლოდ ექიმის მიერ არარაციონალურად გამოწერილი ნამლების რაოდენობა არ უქმნის. ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემას თავად წამლის ფასიც ქმნის, რაც, ექსპერტთა შეფასებით, ფარმაცევტულ ბაზარზე არასაკმარისი კონკურენციის შედეგია.

მედიკამენტებზე ფასის ყველაზე დიდი ზრდა 2008 წელს დაფიქსირდა. მაშინ ქვეყანაში ინფლაციის ერთ-ერთ წამყვან მიზეზად, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტთა ფასის ზრდა დასახელდა.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, 2008 წელს, საბაჟო პუნქტიდან საცალო ქსელამდე წამლის ფასი, საშუალოდ, 102%-ით გაიზარდა, მაშინ, როცა ევროპაში ეს მაჩვენებელი 27-49%-ის ფარგლებში მერყეობს.

ამის პასუხად, 2009 წლის სექტემბერში, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონის ლიბერალიზაცია მოხდა. ცვლილებების შედეგად, საქართველოში შესაძლებელი გახდა პარალელური იმპორტი.

გამარტივდა იმ ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაცია, რომელიც წარმოებუ-

■ ანგარიშის მიხედვით, მედიკამენტებზე მაღალი დანახარჯი, ძირითადად, არარაციონალური ფარმაკოთერაპიის, გენერიკული მედიკამენტების ნაკლებად გამოყენების/დანიშვნის, რეცეპტების მექანიზმების არასაკმარისი გამოყენების, პაციენტთა მიერ თვითმკურნალობის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მედიკამენტების არასაკმარისი ფინანსური ლიმიტის, ფარმაცევტული ინდუსტრიის მხრიდან აგრესიული მარკეტინგის შედეგია.

ლია ან რეგისტრირებულია ევროკავშირის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში: აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში და სხვა ქვეყნებში.

აღნიშნულმა ცვლილებებმა ქართული ბაზარი, ადგილობრივი და უცხოური ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის უფრო კონკურენტუნარიანი გახადა. ამ ცვლილებების პარალელურად, 2010-2011 წლებში, ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის ფასის კლება დაფიქსირდა, რაც ექსპერტთა შეფასებით, სწორედ აღნიშნული ცვლილებების შედეგი იყო.

ფონდმა „კურაციომ“, 2009-2011 წლებში, მედიკამენტებზე ფასის და ფიზიკური ხელმისაწვდომობის ცვლილებებზე კვლევა ჩაატარა, რომლის მიხედვით, 2011 წელს, 2009 წელთან შედარებით, წამალზე ფასნამატის კლება დაფიქსირდა როგორც ბრენდ, ასევე გენერიკული დასახელების მედიკამენტებზე. 2011 წელს ბრენდ მედიკამენტებზე ფასნამატმა 56%-ით დაიკლო.

„მიუხედავად ფასნამატის შემცირებისა, საქართველოში მედიკამენტების ფასნამატი მაინც უფრო მაღალი რჩება ევროპის ქვეყნებთან შედარებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კვლავაც არსებობს მედიკამენტების ფასების შემდგომი კლების შესაძლებლობა“, - წერია კვლევაში.

აღნიშნული კვლევა ერთადერთია, რომელიც ფარმაცევტულ ბაზარზე მედიკამენტების ფასებზე, ხელმისაწვდომობაზე და ფინანსურ ბარიერებზე ინფორმაციას გვაწვდის. ექსპერტთა შეფასებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, სწორედ მედიკამენტების ფასებსა და ფასთა სტრუქტურის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობაა.

წამლებზე განეული დანახარჯების შემცირების ერთ-ერთი გზა გენერიკული მედიკამენტების მოხმარებაა. გენერიკული დასახელების მედიკამენტების ფასი ორნახევარჯერ ნაკლებია ბრენდი მედიკამენტების ფასზე. გენერიკული არის არაბრენდირებული მედიკამენტი, რომელიც ეფექტურია მკურნალობისთვის. თუმცა,

ამ ყველაფრის მიუხედავად, ქართული ფარმაცევტული ბაზარი გენერიკული მედიკამენტებით საკმარისად გაჯერებული არ არის და მეტიც, ის არაპოპულარულია როგორც ექიმებში, ისე პაციენტებში.

2011 წლის კვლევის მიხედვით, ექიმთა მხოლოდ 14%-ი ნიშნავს გენერიკ მედიკამენტებს, არადა ამავე წელს, ფონდ „კურაციოს“ მიერ ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ გენერიკული მედიკამენტებით მკურნალობა გაცილებით დაბალფასიანია, ვიდრე ორიგინალი ბრენდებით.

მაგალითად, თუ ართრიტის მკურნალობა ყოველ 1000 პაციენტზე ორიგინალური ბრენდით 41 200 ლარი ჯდება, გენერიკული დასახელების მედიკამენტით ეს 8 400 ლარია. განსხვავება 32 800 ლარია. ჰიპერტენზიის მკურნალობა ორიგინალი ბრენდით 3 400 ლარი ჯდება, გენერიკული დასახელების მედიკამენტით – 2250, განსხვავება 1 150 ლარი.

ბრენდი მედიკამენტების გენერიკული მედიკამენტებით ჩანაცვლების პოლიტიკა წამლებზე განეული დანახარჯებს მნიშვნელოვნად შეამცირებს, თუმცა, ექსპერტთა თქმით, თუკი სახელმწიფო გენერიკების ჩანაცვლების პოლიტიკას აირჩევს, საჭირო გახდება გენერიკების ხარისხის გაზომვა. საქართველოს სადაზღვევო ასოციაციის ხელმძღვანელის, დევი ხეჩინაშვილის თქმით, ჩვენ სისტემაში გენერიკების ბიოეკვივალენტურობის გაზომვა არ ხდება, ამიტომ მისი აზრით, თუ საქართველო გენერიკულ პოლიტიკაზე გადავა, მაშინ ქართულ ბაზარზე უნდა დაგუშვათ ის გენერიკები, რომლებსაც აქვს იმ ქვეყნების აღიარება, სადაც ხარისხის კონტროლი ხდება.

„ჩვენ ეს სისტემა არ გვაქვს და უნდა ვენდოთ სხვას, იმ ქვეყნებს, სადაც ხარისხის კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ამ სისტემის აწყობა ძვირი და რთულია“, - ამბობს დევი ხეჩინაშვილი.

როგორ უნდა გაზარდოს სახელმწიფომ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა? იმისთვის, რომ შინამეურნეობის და-

■ „ასევე, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია და ანაზღაურების ლიმიტი, თუნდაც მხოლოდ სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობისთვის. ეს სია თავიდან შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ქრონიკული პაციენტებისთვის აუცილებელი მედიკამენტების ჩამონათვალს, თანაგადახდის პირობით. ეს მოლაპარაკებები ჩემი მინისტრობის დროს უკვე დაწყებული იყო სადაზღვევო კომპანიებთან.“ - ამბობს სანდრო ურუშაძე.

# ჰიპისი-ს ახალი შემოთავაზება: „ჰენერიკ მედიკამენტები ეკონომი შეფუთვით 20-30%-ით უფრო დაბალ ფასად“

ფარმაცევტულმა კომპანია „ჰიპისი“-მ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებული პროექტის განხორციელება დაიწყო. კერძოდ, ეკონომიშეფუთვის მქონე „საერთაშორისი დასახელების“ (ჯენერიკ-მედიკამენტები) მედიკამენტების შემოტანა-რეალიზაცია, რის შემდეგაც მომხმარებელს საჭირო მედიკამენტების ბევრად ნაკლებ ფასად შესყიდვა შეუძლია. ამ სახელწოდებითა და შეფუთვით მედიკამენტები უკვე იყიდება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. თუ რა უპირატესობა აქვს ამ მედიკამენტებს და რატომ დაინერგა საქართველოში, ამის შესახებ კომპანია „ჰიპისი“-ს გენერალური დირექტორი, დავით კილაძე გვესაუბრება:

ფარმაცევტული კომპონენტის დანახარჯების შემცირება ზოგადად სამედიცინო ხარჯების სტრუქტურაში უაღრესად აქტუალური საკითხია მთელ მსოფლიოში და, ბუნებრივია, იგივე პრობლემა დგას საქართველოშიც. ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა გახლავთ ე.წ. ეკონომიშეფუთვის მქონე ჯენერიკ მედიკამენტების რეალიზაცია. ეს გზა აირჩია ჩვენმა კომპანიამ და საკმაოდ ხანგრძლივი შრომის შემდგომ დავიწყეთ საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე აღნიშნული პროექტის დანერგვა (ეს გახლავთ დაკავშირებული მომწოდებელი პარტნიორის მოძიების და შემდგომ პრეპარატების რეგისტრაციის პროცესთან). ამ ეტაპზე ჩვენ ვახორციელებთ ეკონომიშეფუთვების მქონე (500 ან 1000 ტაბ.) ჯენერიკ მედიკამენტების (აქტიური ნივთიერებების სახელით) იმპორტს და შემდგომ GPF-ის სააფთიაქო ქსელიდან საცალო რეალიზაციას. მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს უსუსტად იმდენი აბი ამა თუ იმ მედიკამენტისა, რამდენიც იქნება გამოწერილი ექიმის მიერ რეცეპტში და არავითარ შემთხვევაში მეტი. მოგეხსენებათ ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტს ესაჭიროება მკურნალობისათვის მაგ. 17 აბი და მინიმალური შეფუთვა არის წარმოდგენილი მხოლოდ 30 ტაბ-იანი კოლოფით და ასეთ შემთხვევაში ან უნდა დაიჭრას ბლისტერი, რაც დაუშვებელია, ვინაიდან შესაძლოა დაზიანდეს წარწერა, ინფორმაცია დასახელების, დოზის და ვარგისიანობის ვადის შესახებ ან როგორც ხშირად ხდება, პაციენტი ყიდულობს მეტ აბს, ვიდრე ეს მას სჭირდება.

ჩვენს შემთხვევაში გაცივმა მკურნალობისთვის აუცილებელი რაოდენობის აბები, რომლებიც თავსდება სპეციალურ კონტეინერში და მასზე დაიტანება შემდეგი სახის ინფორმაცია: მედიკამენტის საერთაშორისო დასახელება, დოზირება, ვარგისიანობის ვადა, მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი ქარხნისა და წარმოების სერიის შესახებ მონაცემები, რაც ზუსტ შესაბამისობაშია საერთაშორისო მედიკამენტაციისა და მის შესახებ ინფორმაციის გაცემის სტანდარტებთან.

## ვის ეკუთვნის პროექტის იდეა და რატომ გახდა ამ პროექტის საქართველოში დანერგვა საჭირო?

როგორც მოგახსენეთ, ეს პრაქტიკა უკვე დიდი ხანია დანერგილია მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მაგ. აშშ-ში, კანადაში, ისრაელში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის რიგ ქვეყნებში.



ჩვენთვის საკმაოდ შრომატევადი პროცესია ამ პრაქტიკის დანერგვა საქართველოში, ვინაიდან საკმაოდ რთულია, ამერიკის ბაზარზე მოქმედი კომპანიების დაინტერესება ჩვენი ქვეყნის ბაზრით მისი სიმცირის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ ბოლო პერიოდში გასწია დიდი სამუშაო და შეიმუშავა მნიშვნელოვანი რეგულაციები მედიკამენტების საცალოდ გაცემის წესთან დაკავშირებით. დაიხვეწა და დაზუსტდა არსებული კანონმდებლობა, რაც იძლევა საშუალებას მნიშვნელოვნად გაიზარდოს მედიკამენტის ღირებულება. ამ ეტაპზე სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების ე.წ. ესენციალური სის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ვფარავთ, მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის და აქტიურად ვმუშაობთ სისის გაფართოებაზე, ისე რომ შესაძლებელი იყოს მომხმარებელს შევთავაზოთ ნებისმიერი მედიკამენტის გენერიული ალტერნატივა, ანუ სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტების სია სრულად დაგვფარავთ.

რაც შეეხება ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან გარემოებას - მედიკამენტის ფასის ფაქტორს, მინდა დაბეჭივით აღვნიშნო, რომ ეს პროექტი სწორედ ამ საკითხის გადასაჭრელად არის შექმნილი. მომხმარებელი მკვეთრად იგრძნობს ფასის სხვაობას, რაც ჩვენს შემთხვევაში დაახლოებით 25-30% -ს შეადგენს. მაგალითისთვის იბუპროფენის 1 აბის ფასი 25%-ით იფარა ბაზარზე არსებულ ყველაზე იაფ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში წარმოებულ ანალოგთან შედარებით და ჩვენ კი მედიკამენტების იმპორტს ვახორციელებთ აშშ-ს, კანადის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი წამოწყება განსაკუთრებით საინტერესოა და ღირებულია ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იღებენ ერთსა და იმავე მედიკამენტებს. ჩვენს შემთხვევაში მათ მიეცემათ შესაძლებლობა დაზოგონ საკმაოდ სოლიდური თანხა.

## მედიკამენტის დაბალი ფასი ხშირად პაციენტისთვის მედიკამენტის დაბალ ხარისხთან ასოცირდება.

ხარისხთან მიმართებაში ჩვენს მომხმარებელს შეუძლია იყოს სრულიად დარწმუნებული, რადგანაც აღნიშნული მედიკამენტების იმპორტს ჩვენ ვახორციელებთ აშშ-ს, კანადის და ასევე დასავლეთ ევროპის ბაზრებიდან. ეს პრეპარატები რეგისტრირებულია აშშ-სა და კანადაში, რაც იმას ნიშნავს, რომ გავლილი აქვს ხარისხის უმკაცრესი კონტროლი საერთაშორისო ლაბორატორიებსა და სხვადასხვა მარეგულირებელ ორგანიზაციებში. აქ დაცულია, როგორც წარმოების, ასევე ტრანსპორტირების, შენახვისა და მიმოქცევის საყოველთაოდ აღიარებული მაღალი სტანდარტები, ე.წ. GMP და GDP.

აღნიშნული პროექტი ჩვენი ქსელის თითქმის ყველა აფთიაქშია ჩამოყალიბებული და ვიმედოვნებთ, რომ ეს ინიციატივა მომხმარებლისთვის დიდი შედეგით იქნება.

გისურვებთ ჯანმრთელობას.



ნახარჯები მედიკამენტებზე შემცირდეს, სახელმწიფომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში მედიკამენტების ფინანსური ლიმიტი უნდა გაზარდოს. ექსპერტთა თქმით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეღავათი, მოსახლეობისთვის, სადაზღვევო პაკეტში მედიკამენტების კომპონენტის შეტანა იქნება.

დღეს მოქმედი სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტები უმნიშვნელოდ ანაზღაურებენ მედიკამენტების ხარჯს. „საქართველო სადაზღვევო ასოციაციის“ ხელმძღვანელის, დევი ხეჩინაშვილის თქმით, თუკი სახელმწიფოს ახალ სადაზღვევო პროგრამებში მედიკამენტის დაფინანსებას არ გაითვალისწინებს, მოხდება იგივე, რაც მოხდა უმწეოთა პროგრამის შემთხვევაში.

„უმწეობი ძალიან კარგი ჰოსპიტალური პროგრამით სარგებლობენ, ისინი კატასტროფული დანახარჯებიდან გათავისუფლდნენ, მაგრამ ფინანსური ტვირთისგან არა, რადგან პირველ რიგში, წამალს არ აფინანსებს პაკეტი“, – ამბობს დევი ხეჩინაშვილი. მისი თქმით, თუკი პროგრამა წამალს არ დააფინანსებს, ჯიბიდან გადახდილი ხარჯების მოცულობა გაიზარდება, რაც მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზი გახდება. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს ორი ალტერნატივა დარჩება, ან გააფართოვოს თავისი პროგრამები და მოიცვას წამლები და სხვა ხარჯებიც, ან დაიწყოს ფასების უბეში რეგულირება.


ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის, სანდრო ურუშაძის თქმით, მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რეალურად წამლების ყიდვის გამო ღარიბდება და ასეთი, კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 15%-ია, მედიკამენტები სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამამ უნდა დაუფაროს.

„ასევე მნიშვნელოვანია გაიზარდოს ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია და ანაზღაურების ლიმიტი, თუნდაც მხოლოდ სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობისთვის. ეს სია თავიდან შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ქრონიკული პაციენტებისათვის აუცილებელი მედიკამენტების ჩამონათვალს, თანაგადახდის პირობით. ეს

მოლაპარაკებები ჩემი მინისტრობის დროს უკვე დანყებული იყო სადაზღვევო კომპანიებთან.“ – ამბობს სანდრო ურუშაძე.

სანდრო ურუშაძის თქმით, საქართველოში დღეს ექიმთან კონსულტაციის პრობლემა ნაკლებად დგას, მაგრამ მოქალაქე, რომელსაც ექიმის მიერ გამოწერილი წამლების შეძენის საშუალება არ აქვს, ექიმთან მისვლის აზრს ვერ ხედავს. „ბოლო წლების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მხოლოდ ექიმის კონსულტაციის დაფინანსება, ანაზღაურებადი წამლების და გამოკვლევების გარეშე, პირველადი ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას ვერ გააუმჯობესებს. თუ ექიმი არ გახდა მთავარი ფიგურა, პაციენტის მთავარი მრჩეველი ფარმაცევტი იქნება“, – ამბობს სანდრო ურუშაძე. მისივე თქმით, ჰოლანდიის მოსახლეობა თავისი დაზღვევით კმაყოფილი სწორედ იმიტომ არის, რომ იქ ექიმის მიერ გამოწერილი წამალი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით ფინანსდება.

პირველი ივლისიდან მოქმედი სადაზღვევო პროგრამა ფართოვდება. ექსპერტების მოლოდინი, რომ პირველი ივლისიდან გაფართოებულ პაკეტში ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია გაიზარდებოდა, ამო აღმოჩნდა, რადგან როგორც მინისტრმა, დავით სერგეენკომ „ლიბერალთან“ საუბარისას განაცხადა, ამ ეტაპზე ახალი პროგრამა მედიკამენტებით უზურნველყოფას არ ითვალისწინებს.

“ჩვენ ორი მთავარი მიმართულებით ვმუშაობთ – წამლის ხარისხის და ფასის უზურნველყოფა. ამის გარეშე რომ ჩავდეთ მედიკამენტები სადაზღვევო პაკეტში, ბაზრის კანონები მექანიკურად გამოიწვევენ წამლის ფასების ზრდას და 60 პროცენტი 80 გახდება“, – ამბობს დავით სერგეენკო. დავით სერგეენკოს თქმით, სამინისტრო, მსოფლიო ბანკის ექსპერტთან ერთად, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობს, რომელიც სამემოდგომოდ დასრულდება. „ოპტიმისტური გათვლებით, მომავალში, სადაზღვევო პაკეტში მედიკამენტების გათვალისწინების საშუალება გვექნება“, – ამბობს დავით სერგეენკო. 

■ პირველი ივლისიდან მოქმედი სადაზღვევო პროგრამა ფართოვდება. ექსპერტების მოლოდინი, რომ პირველი ივლისიდან გაფართოებულ პაკეტში ასანაზღაურებელი მედიკამენტების სია გაიზარდებოდა, ამო აღმოჩნდა, რადგან როგორც მინისტრმა დავით სერგეენკომ „ლიბერალთან“ საუბარისას განაცხადა, ამ ეტაპზე ახალი პროგრამა მედიკამენტებით უზურნველყოფას არ ითვალისწინებს.

გადახდის თანამედროვე ფორმა



# უკონტაქტო ბარათები



 თბილისი ბანკი  
T B C B A N K

☎ 227 27 27 | 📠 \* 27 27  
[www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)



# ხა ელის სადაზღვევო ინდუსტრიას?

რა ელის სადაზღვევო ბაზარს, რომლის 75 პროცენტიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სამედიცინო დაზღვევას უკავია? 2013 წლის 28 თებერვლიდან ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის მართვა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში გადავიდა: კერძო სადაზღვევო კომპანიები თანდათან თამაშგარე მდგომარეობაში რჩებიან.

---

მანანა ვარდიაშვილი



საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი 2013 წლის 28 თებერვალს დაიწყო. ამ პროგრამის ფარგლებში 6-დან 60 წლამდე ასაკის ყველა იმ ადამიანს, რომელსაც მანამდე არანაირი სამედიცინო დაზღვევა არ ჰქონდა, მინიმალური სადაზღვევო პაკეტით გათვალისწინებული მომსახურების – გეგმური და გადაუდებელი ამბულატორიული და გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის საშუალება მიეცა. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის პირველმა ეტაპმა, ჯამში, 2 მილიონზე მეტი ადამიანი მოიცვა. 2013 წლის პირველი ივლისიდან კი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპი ამოქმედდება, რომლის ფარგლებშიც უფასო პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების პროგრამებს გეგმური სერვისებიც დაემატება.

რა მოელის სადაზღვევო ინდუსტრიას მას შემდეგ, რაც სოციალურ დაზღვევას საკუთარ ხელში მთლიანად სახელმწიფო აიღებს და დაზღვევის საბაზისო პაკეტსაც გააფართოებს?

სადაზღვევო სექტორი, მეორე წელია, წაგებაზე მუშაობს. კერძო სადაზღვევო კომპანიებმა 2011 წელი 22 მლნ, ხოლო 2012 წელი 7,2 მლნ ლარის ზარალით დაასრულეს. სადაზღვევო ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული 2012 წლის ფინანსური შედეგების თანახმად, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სადაზღვევო კომპანიების წაგებამ 98% შეადგინა. სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები ყველაზე ზარალისანი „ალფასა“ (119%) და „არქიმედეს გლობალ ჯორჯიასთვის“ (106%) აღმოჩნდა.

ექსპერტთა შეფასებით, კომპანიების ზარალის მიზეზი პრემიის დაბალი თანხა გახდა: ფარმაცევტული კომპანია „ავერსის“ შვილობილი კომპანია „ალფა“ სადაზღვევო ბაზარზე 2010 წელს დემპინგური ფასით შევიდა და სახელმწიფოს თითო დაზღვეულის მომსახურებისთვის 6-ლარიანი პაკეტი შესთავაზა. სადაზღვევო კომპანიების დიდი ძალისხმევით ამ ფასმა მოგვიანებით 9 ლარამდე აიწია, თუმცა აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო ინდუსტრიის გამართული ფუნქციონირებისთვის საკმარისი არც ეს თანხა იყო.

სადაზღვევო სექტორის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებდა არასტაბილური ბიზნესგარემოც. საქართველოს მთავრობის 218-ე დადგენილებაში, რომელიც მიზნად ისახავდა უმწეოების და პედაგოგების დაზღვევას, 2 წლის განმავლობაში 35 ცვლილება შევიდა. სადაზღვევო ინდუსტრიასთან გაფორმებულ კონტრაქტში ხელისუფლების მიერ ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები, რომლებიც მომხმარებლების პირობების გაუმჯობესებაზე იყო ორიენტირებული, პარალელურ რეჟიმში მძიმე მდგომარეობაში აყენებდა სადაზღვევო კომპანიებს.

სადაზღვევო კომპანიების მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც გასული წლის სექტემბერში მთავრობამ სახელმწიფო პროგრამების ნაწილი გა-

■ სადაზღვევო სექტორი, მეორე წელია, წაგებაზე მუშაობს. კერძო სადაზღვევო კომპანიებმა 2011 წელი 22 მლნ, ხოლო 2012 წელი 7,2 მლნ ლარის ზარალით დაასრულეს. სადაზღვევო ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული 2012 წლის ფინანსური შედეგების თანახმად, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სადაზღვევო კომპანიების წაგებამ 98% შეადგინა. სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები ყველაზე ზარალისანი „ალფასა“ (119%) და „არქიმედეს გლობალ ჯორჯიასთვის“ (106%) აღმოჩნდა.

აუქმა და ისინი სადაზღვევო პაკეტში ისე შეიტანა, რომ ინდუსტრიისთვის არაფერი უკითხავს.

სადაზღვევო სექტორი ახლა ახალი გამონწვევის წინაშე დგას – მას შემდეგ, რაც ახალმა მთავრობამ სოციალური დაზღვევა საკუთარ ხელში აიღო, კერძო კომპანიებმა ბაზრის უდიდესი ნაწილი დაკარგეს. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობასთან შეთანხმებით, მათ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში გარანტირებული მონაწილეობის პირობით ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამაში 150 მლნ ლარზე მეტი თანხის ინვესტიცია ჩადეს. ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში, რეგიონებში 55 საავადმყოფო აშენდა. სამედიცინო მომსახურებაზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის გამო, სადაზღვევო კომპანიების ხარჯიც გაიზარდა. „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მათ 2013 წლის თებერვალში სადაზღვევო კომპანიების მომსახურების ფასები უნდა გადაეხედათ. მაგრამ, იმის გამო, რომ შეიცვალა მთავრობა და მისი სტრატეგია, ფასების გადახედვა არ მოხდა. შედეგად, სადაზღვევო კომპანიები ხარჯებს ვეღარ უმკლავდებიან და კლინიკების მიმართ მილიონობით ლარის დავალიანება უგროვდება: თუ 2012 წელს სადაზღვევო კომპანიებს ჰოსპიტალების ვალის სახით 3 მლნ ლარი დაუგროვდათ, მიმდინარე წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ამ თანხამ 4,9 მლნ ლარს გადააჭარბა.

სახელმწიფო დაზღვევის პროგრამა უკვე დატოვა სადაზღვევო კომპანია „ალფამ“. კომპანიაში განაცხადეს, რომ ბიუჯეტიდან არასაკმარისი დაფინანსების გამო, მათთვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა ზარალის მომტანი იყო.

1 ივლისიდან სადაზღვევო ბაზარზე თამაშის წესები კიდევ ერთხელ იცვლება. რა იციან სადაზღვევო კომპანიებმა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპის პროგრამის შესახებ და რა გავლენას მოახდენს მისი ამოქმედება სადაზღვევო სექტორზე?

„აქამდე საყოველთაო ჯანდაცვა განხორციელდა იმ ადამიანებზე, რომლებიც მანამდე არანაირ სადაზღვევო აქტივობებში არ იყვნენ ჩართულნი, არ იყვნენ არანაირი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილები. ასეთი იყო 2 მლნ-მდე ადამიანი. ეს პროგრამა თავის თავში მოიცავდა ოჯახის ექიმთან შეუზღუდავ ვიზიტს და გადაუდებელი მდგომარეობების მართვას. ახლა ამას ემატება ექიმ-სპეციალისტებთან ვიზიტის შესაძლებლობა და გეგმიური ქირურგიული სერვისების, მათ შორის მშობიარობის დაფინანსებაც“, – განაცხადა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

ეს არის ის მწირი ინფორმაცია, რაც ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპის თაობაზე აქვს სადაზღვევო ინდუსტრიას. სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თინათინ სტამბოლიშვილი აცხადებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის ახალი სახელმწიფო პროგრამის დეტალების შესახებ მათ კომპანიაში არაფერი იციან: „ამ პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს. ბევრი დეტალი ჯერაც ძალიან ბუნდოვანია. არ ვიცით, რამდენ ადამიანზეა გათვლილი ეს პროგრამა, რომელი დაავადებების მკურნალობა დაფინანსდება... ამ ეტაპზე ჩვენი კომპანია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 120 000 ბენეფიციარს ემსახურება. თუ სოციალურ დაზღვევას საკუთარ თავზე სახელმწიფო აიღებს, მაშინ ჩვენ ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტში მხოლოდ კორპორატიული მომსახურების ნიშა დაგვრჩება“.

„არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ხელმძღვანელი, ნიკა რამიშვილი მიიჩნევს, რომ სადაზღვევო ბაზარზე სახელმწიფო ფონდის შესვლა მძიმე გავლენას მოახდენს დაზღვევის ინდუსტრიაზე და მათ ჯანმრთელობის დაზღვევის კორპორატიულ ნიშასაც შეუმცირებს. „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მეორე ეტაპის პროგრამა ჩვენთვის დახურულ კარს მიღმა შემუშავდა. შრომის, ჯანმრთელობის



და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არანაირი კომუნიკაცია და კოორდინაცია არ გვაქვს. ცხადია, რომ ასეთი ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს სადაზღვევო ინდუსტრიაზე. კერძო სადაზღვევო კომპანიებს ჯანმრთელობის დაზღვევის სეგმენტში, რომელიც ჩვენი ინდუსტრიისთვის ლომის წილი იყო, მხოლოდ კორპორატიული დაზღვევა დარჩება. თუ სახელმწიფო მოქალაქეებს ფართო საბაზისო პაკეტს შესთავაზებს, კორპორატიული დაზღვევაც აღარ იარსებებს. თუ ადამიანს უფასოდ აქვს ყოვლისმომცველი ბაზისური პაკეტი, რატომ იზრუნებს იმაზე, რომ თავისი ფული გადაიხადოს და კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაეზღვიოს? მითუმეტეს ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. მას შემდეგ რაც სახელმწიფო ფონდი სრულად დააზღვევს ჩვენს მოქალაქეებს, ბაზარზე ალბათ, 2-3 კომპანია დარჩება. არის კიდევ ერთი საკითხი: დღეს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას 10 000 ადამიანი მართავს. როგორ მოხდება მათი გადანაწილება, უცნობია“, – ამბობს ნიკა რამიშვილი და დასძენს, რომ სახელმწიფო პროგრამებიდან გამოსვლის შემთხვევაში „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ ჰოსპიტალურ სექტორს დაიტოვებს.

კერძო სადაზღვევო კომპანიებისთვის სერიოზული ფინანსური პრობლემების შექმნას წინასწარმატყველებს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი: „საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის მეორე ეტაპის პროგრამის შესახებ არაფერი ვიცით. არც დეტალებია ცნობილი და არც ციფრები. არ ვიცით, მეორე ეტაპის ამოქმედების შემდეგ სამედიცინო დაზღვევის რა ნაწილი დარჩება კერძო სექტორს. ამიტომ სიღრმისეული ანალიზის გაკეთება ახლა შეუძლებელია. თუმცა უკვე გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ თუ კერძო სადაზღვევო კომპანიებს შეუწყდებათ ის დაფინანსება, რომლითაც ისინი ბოლო წლების განმავლობაში საზრდობდნენ, ვგულისხმობ სახელმწიფო სადაზღვევო

პროგრამაში მონაწილეობას, მათ ძალიან სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნებათ. ცხადია, რომ სახელმწიფოს ძალიან გაუჭირდება 4 მლნ დაზღვეული ადამიანის მართვა და მათთვის მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიწოდება“.

სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე, დევი ხეჩინაშვილი „ლიბერალთან“ საუბარში ადასტურებს, რომ ჯანმრთელობის დაცვის ახალი სახელმწიფო პროგრამის თაობაზე სადაზღვევო კომპანიები სრულ გაურკვევლობაში არიან და არ იციან, დარჩებათ თუ არა მათ სახელმწიფო პროგრამებში სამოქმედო სივრცე: „კერძო სადაზღვევო ორგანიზაციები თუ ამოვარდნენ ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებიდან, დარჩებათ სხვა მიმართულებები, რაც ჯამში 120 მილიონია. რა თქმა უნდა, დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. დღეს არათუ ინვესტორმა, არამედ მფლობელმა და თანამშრომელმაც არ იცის, რა იქნება ხვალ. თუ ეს ასე მოხდა და კერძო სადაზღვევო ორგანიზაციებს ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების განხორციელების საშუალება აღარ მიეცათ, მაშინ ჯანდაცვის დაფინანსება დარჩება სახელმწიფო ფულზე და კერძო გადასახადებზე, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან ცუდი იქნება“.

განსხვავებული პროგნოზი აქვთ შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში, სადაც აცხადებენ, რომ სოციალური დაზღვევის სახელმწიფოს ხელში გადასვლა კერძო კომპანიებს სამოქმედო სივრცის დიდ არეალს უტოვებს, რადგან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული საბაზო დაზღვევა მომხმარებლისთვის მაღალტექნოლოგიური სერვისების, კვლევების, წამლებისა და ექსტრასერვისების მიწოდებას არ გულისხმობს. ამიტომ, იმ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ და სურთ, რომ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება გამოიყენონ, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო მხოლოდ სახელმწიფო დაზღვევის ხარჯზე დარჩენას არ ურჩევს. 

■ „აქამდე საყოველთაო ჯანდაცვა განხორციელდა იმ ადამიანებზე, რომლებიც მანამდე არანაირ სადაზღვევო აქტივობებში არ იყვნენ ჩართულნი, არ იყვნენ არანაირი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილები. ასეთი იყო 2 მლნ-მდე ადამიანი. ეს პროგრამა თავის თავში მოიცავდა ოჯახის ექიმთან შეუზღუდავ ვიზიტს და გადაუდებელი მდგომარეობების მართვას. ახლა ამას ემატება ექიმ-სპეციალისტებთან ვიზიტის შესაძლებლობა და გეგმიური ქირურგიული სერვისების, მათ შორის მშობიარობის დაფინანსებაც“, – განაცხადა შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგვენიკომ.

ჯომნახი

# ვინ ბადაიხის "უფასო" ჯანდასავის ხახჯებს?

ყველა მოქალაქე უნდა იყოს უზრუნველყოფილი „სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით“ (იხ. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“) – ახალი მთავრობის ამ დაპირებამ მოსახლეობაში დიდი მოლოდინები და იმედები გააჩინა, მაგრამ როგორ და როდის მოხდება ამ დაპირების შესრულება, ჯერ ისევ გაურკვეველია.

ანდრია ურუშაძე, პოლიტიკის ანალიზის ცენტრი

„საყოველთაო ჯანდაცვის“ პროგრამის ამოქმედებამ ბევრ მოქალაქეს გაუცრუა იმედი, განსაკუთრებით კი იმ ოჯახებს, ვისთვისაც ყოველდღიური ხარჯები სამედიცინო მომსახურებაზე მძიმე ფინანსური ტვირთია. ჯანდაცვის სამინისტრო გვპირდება, რომ ივლისის თვიდან პროგრამით დაფარული მომსახურებებისა და დიაგნოზების სია გაიზრდება, მაგრამ ზუსტად რა დაფინანსდება და როგორ, დღემდე არ არის ცნობილი. მხოლოდ ის ვიცით, რომ ბიუჯეტის ფული კვლავ დაიხარჯება არა მოქალაქეების დაზღვევაზე, არამედ სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსებაზე.

საქართველო, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, დაბალი საშუალო შემოსავლების (low middle income) ქვეყნებს მიეკუთვნება. სახელმწიფო დანახარჯები ჯანდაცვაზე, წელს გაზრდილი სოციალური ბიუჯეტის მიუხედავად, ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ევროპის რეგიონში. ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტი ხარჯავს ათჯერ უფრო ნაკლებს, ვიდრე ეუთოს ქვეყნები (შედარებისთვის: საქართველო 90 აშშ დოლარი, ეუთოს საშუალო 2000 აშშ დოლარი). ასეთ პირობებში, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ საყოველთაო, უნივერსალური ჯანდაცვის დანაპირების შესრულება იმ სასწაულის ტოლფასი იქნება, როცა 5 000 ადამიანის დაპირება ორი

თვეზითა და ხუთი პურით გახდა შესაძლებელი (იხ. იოანეს სახარება თ.6). იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ დაპირების შესასრულებლად, სასწაულის მოხდენის გარდა, სამინისტრო პოლიტიკის სხვა ალტერნატივებსაც განიხილავს.

მოახლოებული საპრეზიდენტო, თუ ადგილობრივი არჩევნები მხოლოდ გაზრდის იმის საშიშროებას, რომ საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების მიუხედავად, გაიცეს კიდევ უფრო მეტი დაპირება და მთავრობამ აიღოს კიდევ უფრო მეტი სოციალური ვალდებულება. ახლადარჩეულ მთავრობას დღეს აქვს საკმარისი პოლიტიკური კაპიტალი დაპირებების გადავადებისთვის, მაგრამ, რაც დრო გავა, პოლიტიკური ზენოლა დაპირებების შესრულების მოთხოვნით მხოლოდ გაიზრდება.

ამ მძიმე ვითარებაში ჯანდაცვის სამინისტრომ უნდა იპოვოს ოქროს შუალედი ალტერნატიული ვალდებულებებსა და ჩვენი ეკონომიკის შესაძლებლობებს შორის და არ დაუშვას ისეთი შეცდომები, რომლებიც სერიოზულ ზიანს მიაყენებენ ეკონომიკურ განვითარებას და სოციალური სფეროს ფინანსურ მდგრადობას.

ჯანდაცვის სამინისტროს ახალი სტრატეგია – სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის აღდგენა, კერძო კლინიკების ნაციონალიზაცია, პროფკავშირული „ხელმძღვანელი მუშაკების“ ინტერე-



სებზე (და არა დასაქმებაზე და დასაქმებულე-ბზე) ორიენტირებული შრომის კოდექსის ახალი რედაქცია – ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში არსებულ დეფიციტს კიდევ უფრო გაზრდის. სამინისტროს მოლოდინების მიუხედავად, ჯანდაცვა ამ ცვლილებების შედეგად გახდება უფრო ძვირი და არა უფრო ხარისხიანი და/ან ხელისაწვდომი. ასევე აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიებმა მოახერხეს ფასების უფრო რაციონალური რეგულირება, ვიდრე ამას სახელმწიფო გადამხდელი აკეთებდა.

კერძო სადაზღვევების მუშაობის ამ ეფექტებს ჯანდაცვის სამინისტრო ამჟამად იყენებს საკუთარი ფასების დასადგენად. სახელმწიფო კომპანიის აღდგენა ფასების უკონტროლო ზრდას კვლავ გამოიწვევს.

რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს ჯანდაცვის სერვისების გაძვირება, საინტერესოა, ვინ გადაიხდის ეკონომიკური კრიზისის პირობებში „უფასო“ საყოველთაო ჯანდაცვის საფასურს და იგეგმება თუ არა დაფინანსების არსებული მოდელის შეცვლა? ამ კითხვებს ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე უპასუხოვდ ტოვებს.

**ახალი სასამელი ძველ ჭურჭელში?**

ბოლო თვეებში საქართველოს ეკონომიკის ზრდა შეჩერდა. ამას საქართვე-

ლოს ფინანსთა მინისტრიც ადასტურებს. 2013 წლისთვის, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, თითქმის ორჯერ შემცირდა. EBRD-მა ქართული ეკონომიკის ზრდის პროგნოზი -დან 3%-მდე შეამცირა. სარეიტინგო სააგენტო Standard and Poor-ი წელს ეკონომიკის 3,5%-იან, ხოლო Fitch-ი 3%-იან ზრდას ელოდება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის პროგნოზით, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას მიანიშნებს ორი-სამი წელი მაინც დაჭირდება.

ჯანდაცვის საბიუჯეტო დაფინანსება წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და უახლოეს წლებში მთავრობის საშუალოვადიანი ხარჯების გეგმის მიხედვით დაგეგმილია სახელმწიფო ხარჯების კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მატება. 2012 წელთან შედარებით, ჯანდაცვის ხარჯები 403 -დან 633 მლნ ლარამდე გაიზარდა (თითქმის 50%-ით) ზრდა 2012 წლის სექტემბერში დაწყებული დაზღვევითაც (პენსიონერები, 6 წლამდე ბავშვები და სტუდენტები) იყო განპირობებული, მაგრამ დამატებითი დაფინანსება „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ ამოქმედებამაც მოითხოვა.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მთავრობა ეძებს გამოსავალს, რომ რამენაირად დააბალანსოს ბიუჯეტის შემცირებული შემოსავლე-

■ სამინისტროს მოლოდინების მიუხედავად, ჯანდაცვა ამ ცვლილებების შედეგად გახდება უფრო ძვირი და არა უფრო ხარისხიანი და/ან ხელისაწვდომი. ასევე აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიებმა მოახერხეს ფასების უფრო რაციონალური რეგულირება, ვიდრე ამას სახელმწიფო გადამხდელი აკეთებდა.

ბი და ხარჯების დაგეგმილი ზრდა. ამის ძიების შედეგია, მაგალითად, არაალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოს ნაწარმზე სააქციზო გადასახადების გაზრდის გეგმა. შემდეგი ნაბიჯი, სავარაუდოდ, სავალდებულო სამედიცინო და/ან სოციალური გადასახადების აღდგენაა. ამის შესახებ მინიშნება სამთავრობო პროგრამაშიც იყო: „ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების გაუმჯობესებისთვის შემოღებული იქნება მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმები.“ (იხ. სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“).

მთავრობის წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, 2014 წელს ჯანდაცვის ბიუჯეტის გაზრდა არ იგეგმება (იხ. ცხრილი). თუმცა გაურკვეველია როგორ უნდა ეყოს მიმდინარე წლის ბიუჯეტი 2014 წლის 12 თვეს მაშინ, როცა ჯანდაცვის სამინისტრო ივლისიდან საბაზისო პაკეტით დაფარული სამედიცინო სერვისების გაფართოებას გეთავაზობს.

უკვე 2015 წელს ამ მიზნებისთვის 905 მლნ ლარი დაიხარჯება, ხოლო 2016 წელს კი – 1,470 მლნ ლარი. ჯანდაცვის ბიუჯეტის ამ პარამეტრებით დაგეგმვას ერთადერთი ლოგიკური ახსნა აქვს. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ მთავრობა სავალდებულო სამედიცინო გადასახადის დაკანონებას გეგმავს.

ჯანდაცვის სავალდებულო გადასახადის აღდგენა ნიშნავს, რომ მთავრობის მიერ აღებული დამატებითი ვალდებულებების დაფინანსება ისევ მოქალაქეების ხარჯზე მოხდება. იმ მოქალაქეების ხარჯზე, ვინც დღეს ფორმალურ სექტორშია დასაქმებული და იხდის გადასახადებს.

სავალდებულო სამედიცინო შენატანი (ჯამში ხელფასის 4%) 2004 წელს გაუქმდა საგადასახადო რეფორმის ფარგლებში. იმ ქვეყნისთვის, რომლის მთავარი ამოცანა უმუშევრობის შემცირება და ეკონომიკის განვითარებაა და სადაც დასაქმებულთა ნახევარი არაფორმალურ სექტორშია თვითდასაქმებული, სავალდებულო მიზნობრივი სოციალური გადასახადების დანესება და ადმინისტრირება მხოლოდ უარყოფით შედეგებს მოიტანს. მიზნობრივი სავალდებულო შენატანების დაკანონება ხელს შუწყობს არაფორმალური სექტორის და უმუშევრობის ზრდას. ამ გეგმით

დაეუბრუნდება ჯანდაცვის სფეროში იმავე ვითარებას, რომლიდანაც დავიწყეთ – 2002 წელს.

ეუთოს ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ სავალდებულო სოციალურ იდაზღვევის გადასახადებზე დამოკიდებულება ამცირებს ფორმალურ სექტორში დასაქმებას 8-10%-ით და მთლიან დასაქმებას, საშუალოდ 5-6%-ით. (Wagstaff, 2009 წ). არსებობს ემპირიული მტკიცებულებები, რომ არაპირდაპირი გადასახადები ნაკლებად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს შრომის ბაზარზე, ვიდრე პირდაპირი გადასახადები, განსაკუთრებით საშემოსავლო და სოციალური გადასახადები (ეუთო, 2008). გერმანიამაც კი, რომელიც სოციალური დაზღვევის სამშობლოდ ითვლება, ბოლო პერიოდში მიიღო გადაწყვეტილება პირდაპირი სოციალური გადასახადის შემცირების და ჯანდაცვის ხარჯების უპირატესად ზოგადი გადასახადებით დაფინანსების შესახებ.

ალსანიშნავია ისიც, რომ სოციალური სფეროს ზოგადი გადასახადებით დაფინანსება საბიუჯეტო ხარჯების უფრო სამართლიანი გადანაწილების (equity) საშუალებას იძლევა და „სოციალური სამართლიანობის“ თვალსაზრისით უფრო ეფექტურია.

ზოგადად, გადასახადების გაზრდა, პოლიტიკური თვალსაზრისითაც, არამომგებიანი ნაბიჯია და ახალი გადასახადების შემოღებას მთავრობა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ შეეცდება. იმედი მაქვს, ეს ნაბიჯი ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდება, რათა არ გავიმეოროთ ერთხელ უკვე დაშვებული შეცდომები.

90-იანი წლების ჯანდაცვის რეფორმების ანალიზიც და დღეს დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებაც, ცხადად ადასტურებს, რომ ჯანდაცვის სფეროს ზოგადი გადასახადებით დაფინანსების დღეს არსებული მოდელი ყველაზე უკეთ შეესაბამება ქვეყნის წინაშე მდგარ ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანებს. ჯანდაცვის სფეროში ახალი სახელმწიფო ვალდებულებების აღების საფუძველს ქვეყნის ეკონომიკური წარმატება უნდა იძლეოდეს. ყველა სხვა შემთხვევაში, რაც უფრო მეტს პირდება მოსახლეობისთვის ამ დაპირებების დაფინანსება. **■**

რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს ჯანდაცვის სერვისების გაძვირება, საინტერესოა, ვინ გადაიხდის ეკონომიკური კრიზისის პირობებში „უფასო“ საყოველთაო ჯანდაცვის საფასურს და იგეგმება თუ არა დაფინანსების არსებული მოდელის შეცვლა? ამ კითხვებს ჯანდაცვის სამინისტრო დღემდე უპასუხოდა ტოვებს.

# საავადმყოფოები ბასსვისების შედეგად

ჯანდაცვის რეფორმის კონცეფციის მიხედვით, ჯანდაცვის სფეროს პრივატიზება სამედიცინო სერვისების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე დადებითად აისახებოდა, თუმცა უმეტეს კლინიკებში გასხვისების შემდეგ არაერთი პრობლემა გაჩნდა.

## თინა ყიფშიძე

2006 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ ჯანდაცვის სექტორის რადიკალური რეფორმის ეროვნული გეგმა გამოაქვეყნა. გეგმის მიხედვით, ქვეყანაში 100 ახალი საავადმყოფო უნდა აშენებულიყო, არსებული მრავალპროფილური საავადმყოფოები კი უნდა გასხვისებულიყო. საბაზრო მექანიზმებისა და კონკურენციის დანერგვით სამედიცინო მომსახურება ხარისხიანი და ხელმისაწვდომი უნდა გამხდარიყო, თუმცა საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს ჰოსპიტალური სექტორის რეფორმის კვლევის მიხედვით, ხელმისაწვდომობა და ხარისხი საქართველოს ჯანდაცვის მთავარ გამოწვევად რჩებოდა.

2007 წლიდან დაახლოებით ასამდე სტრატეგიული თუ არასტრატეგიული მნიშვნელობის საავადმყოფო გასხვისდა, მათგან ყველაზე მეტი - 54 საავადმყოფო - 2011 წელს გაიყიდა.

საავადმყოფოების გაყიდვებს თან სდევდა საავადმყოფოებში პრობლემების ახალი ტალღა.

ლუდუშაურის კლინიკა 2011 წლის ოქტომბერში 6 მილიონ 670 ათას ლარად გაიყიდა. ექიმები ყვებოდნენ, რომ პრობლემები კლინიკაში ახალი მმართველის მოსვლისთანავე დაიწყო: შემცირდა ხელ-



ფასები, ექიმთა დიდმა ნაწილმა კლინიკა დატოვა.

ხელფასების შემცირების გარდა, დაიხურა ლუდუშურში ორთოპედების, ტრავმატოლოგებისა და სამხედრო საველე ქირურგების პოსტდიპლომური განათლების კათედრები. კათედრების გაუქმებით კლინიკაში სასაწავლო ბაზა, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. საავადმყოფო, რომელსაც საუნივერსიტეტო ჰოსპიტალად გადაქცევის მნიშვნელოვანი რესურსი ჰქონდა, ექიმების თქმით, ნადგურდებოდა. მოგებაზე საავადმყოფოების ორიენტირებამ მნიშვნელოვანი, მაგრამ არაშემოსავლიანი განყოფილებების დახურვა გამოიწვია.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ლუდუშურის კლინიკის ექიმები ჯანდაცვის კომიტეტის წევრებს შეხვდნენ და კლინიკაში შემქნილი პრობლემების შესახებ უამბეს. მათმა ნაწილმა პრემიერ-მინისტრის სახელზე განცხადებაც გაავრცელა, ისინი ბიძინა ივანიშვილს საავადმყოფოს გადარჩენას სთხოვდნენ. „ლიბერალთან“ საუბრისას ჯანდაცვის კომიტეტის წევრი, მირიან წიკლაური გასხვისებული კლინიკის სახელწიფო მმართველობის ქვეშ დაბრუნებას „ძველ მეთოდს“ უწოდებდა, თუმცა აღნიშნავდა, რომ ქვეყანაში საბაზისო კლინიკების გადარჩენის პრობლემა იდგა.

კლინიკის გასხვისება არაერთხელ გააპროტესტეს ონკოლოგიური საავადმყოფოს ექიმებმაც. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი 2010 წელს კანადურმა კომპანია „პეგასუს ფარმაცევტიკალ გრუპმა“ 3 მილიონ 10 ათას დოლარად იყიდა. ექიმები კლინიკის გასხვისებასა და ინვესტორის მიერ პირობის შეუსრულებლობას პერიოდულად აპროტესტებდნენ. შეთანხმების მიხედვით 2,5 წელიწადში კლინიკაში ინვესტორს 20 მილიონი დოლარის ინვესტირება უნდა განხორციელებინა. ეს პერიოდი 2013 წლის 19 მაისს ისე დასრულდა, რომ კლინიკის ექიმების თქმით, ნახევარი დოლარის ინვესტიციაც არ განხორციელებულა, არ განახლებულა და გაუმჯობესებულა

ტექნიკურ-მატერიალური ბაზა.

კანადური კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება იმიტომ ვერ შეძლეს, რომ მათ შენობის ნახაზები არ ჰქონდათ და შენობის შესწავლას დრო დასჭირდა. ასევე, პრობლემა აღმოჩნდა საავადმყოფოს მდებარეობის საავადმყოფოს ერთი ნაწილიდან მეორეში გადაყვანა.

კლინიკის ყოფილი ექიმი თენგიზ ჩარკვიანი ამბობს, რომ ონკოლოგიურის გასხვისება პირველ რიგში პაციენტების ჯანმრთელობას ვნებდა.

„ონკოლოგიური პაციენტის მომსახურება რთული საკითხია. ეს ისეთი პაციენტი არაა, რომელსაც ოპერაციას გაუკეთებ და მკურნალობა მთავრდება, მას მთელი ცხოვრების განმავლობაში დაკვირვება სჭირდება. ონკოლოგიის ეროვნული ცენტრის კერძო მფლობელობაში არსებობა ონკოლოგიური მომსახურების უწყვეტობას ვერ უზრუნველყოფს. ონკოლოგიის საავადმყოფო სახელწიფოს საკუთრებაში უნდა იყოს, რომელსაც ონკოლოგიის განვითარების გრძელვადიანი ხედვა ექნება.“ – ამბობს თენგიზ ჩარკვიანი. მისი თქმით, ონკოლოგიის დარგი მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ უნდა იყოს, კერძო კომერციული ინტერესების მქონე ინვესტორის ხელში დარგის განვითარება შეუძლებელია.

თენგიზ ჩარკვიანის აზრით, 61 ათასი კვადრატული მეტრი მიწისა და 43 ათასი კვადრატული მეტრი ფართის გაყიდვა სამ მილიონად უსამართლობა და უკანონობაა. ამის შესახებ მედიასთან საუბრის გამო ის ონკოლოგიურის დირექტორმა საავადმყოფოს დიკრედიტირების ბრალდებით კლინიკიდან გაათავისუფლა. ეს საავადმყოფოდან მსგავსი ბრალდებით გაათავისუფლების ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ერთ-ერთი თანამშრომელი სამსახურიდან იმიტომ გაათავისუფლებს, რომ მან ყურნალისტთან ანალიზების გაძვირებაზე ისაუბრა. ზოგიერთ შემთხვევაში კლინიკა სპეციალისტებმა თავადაც

დატოვებს. თენგიზ ჩარკვიანის თქმით, ექიმების ნაწილი კლინიკაში შემქნილი დაძაბული მდგომარეობის გამო წავიდა. „ონკოლოგიის აწყობილი სისტემა დაინგრავს“, – ასე აფასებს სიტუაციას ჩარკვიანი.

სახელწიფო ონკოლოგიური ცენტრის დაბრუნებას აპირებს. ინვესტორთან მოლაპარაკება, რომელიც კონტრაქტის გახანგრძლივებასა და ამასთან ერთად მასში ახალი მოთხოვნების ჩამატებას გულისხმობდა, უშედეგოდ დამთავრდა.

„წავუყენეთ ახალი მოთხოვნები: ხარისხის კონტროლის მართვა, კოლექტივის მართვაში მონაწილეობის უფლება, საბანკო გარანტიების გაზრდა. საბანკო გარანტიების გაზრდაზე უარი მივიღეთ. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვერ დავრწმუნდი, რომ ისინი ამ პროექტს წარმატებით განახორციელებდნენ. გადაწყვეტილება მიღებულია, დანესებულება მმართველობაში სახელმწიფოს გადმოცემა. შევიმუშავებთ ძალიან კონკრეტულ კონცეფციას და ონკოლოგიის სახელწიფო სტანდარტებით დაგვეგმავთ საავადმყოფოს ღონისძიებებს.“ – ამბობს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, დავით სერგენკო.

მინისტრი ამბობს, რომ ჰოსპიტალურ სექტორში ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა: „ისე ექცეოდნენ საავადმყოფოებს, როგორც დედინაცვალი საკუთარ გერს.“

„თითოეული დანესებულებებისადმი რამდენიმენაბიჯიანი ქმედება განხორციელდა. თავდაპირველად დანესებულება გასხვისდა და მყიდველს ანალოგიური საავადმყოფოს სხვაგან აშენების ვალდებულება დაეკისრა. მან ეს ვალდებულებები არ შეასრულა. სახელწიფომ დანესებულება დაიბრუნა და აუქციონზე გაიტანა. კანონის მიხედვით, აუქციონზე გატანის შემთხვევაში არსებული ვალდებულება ანუ აუქციონზე საავადმყოფო უკვე მყიდველისადმი წაყენებული ვალდებულების გარეშე გაიყიდა.“ – ყვება მინისტრი.


ჰოსპიტალურ სექტორში მინისტრი სხვადასხვა პრობლემებს გამოყოფს. ზოგიერთ შემთხვევაში გაურკვეველია საავადმყოფოს სტატუსი, არსებობს მყიდველი, რომელიც საავადმყოფოს შენობის დაუყოვლებლივ დაცლას ითხოვს, სხვადასხვა კლინიკებში სახელფასო შეფერხებებია.

„ძალიან ვცდილობთ, რომ სიტუაცია კოლაფსისკენ არ წავიდეს. ძალიან დიდი დროის ჩადება გვინევს ამ საქმეების მოსაგვარებლად, ჩემი სამუშაო დროის მესამედი ამაში მიდის.“ – ამბობს მინისტრი.

მინისტრის თქმით, სამინისტროს ამოცანა კერძო საავადმყოფოების სახელწიფო საკუთრებაში დაბრუნება არაა. ამოცანა პაციენტისათვის შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის უზრუნველყოფაა, რაც სერგენკოს აზრით, ჯერჯერობით პრობლემურია.

„მაგალითად, გადაუდებელი შემთხვევების მართვა წამგებიანია. ამის მაგივრად კერძო მფლობელი უპირატესობას პლასტიკური ქირურგიის განვითარებას მიანიჭებს. კერძო კლინიკებს გადაუდებელი მიღება, როგორც წესი, ნაკლებად აქვთ. შეიძლება ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ადამიანის მისაყვანი ადგილი არ გვექონდეს.“ – ამბობს დავით სერგენკო.

მისი აზრით, გამოსავალი ახალი საუნივერსიტეტო დონის სახელწიფო საავადმყოფოების აშენებაა, რომელიც კომერციაზე ნაკლებად ორიენტირებული იქნება.

„საბედნიეროდ, ინფექციური, ფსიქიატრიული და ტუბერკულოზის ცენტრი ისევ სახელწიფოს ქვეშაა და საფრთხე არ ემუქრება. სხვა მიმართულებებისთვის საუნივერსიტეტო დონის კლინიკები უნდა შეიქმნას, რომელიც სახელწიფო სტრატეგიას განახორციელებს. ერთი ან ორი ასეთი საავადმყოფო თბილისში იქნება, გადანყვეტილია, რომ აუცილებლად აშენდება ზუგდიდიშიც. კიდევ ერთი, ალბათ, აჭარის რეგიონში იქნება. ესენი იქნებიან მაშველი რგოლები.“ – ამბობს მინისტრი. 

■ 2007 წლიდან დაახლოებით ასამდე სტრატეგიული თუ არასტრატეგიული მნიშვნელობის საავადმყოფო გასხვისდა, მათგან ყველაზე მეტი 54 საავადმყოფო 2011 წელს გაიყიდა. საავადმყოფოების გაყიდვებს თან სდევდა საავადმყოფოებში პრობლემების ახალი ტალღა.

# ხუსთავი 2 - თინეიჯერობის დასასხიდი

კომპანიას, რომელმაც მაუწყებლობა 19 წლის წინ რუსთავში თანამშრომლების სახლებიდან წამოღებული საყოფაცხოვრებო ტექნიკით დაიწყო, დღეს 600-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს. ქვეყნის ყველაზე გავლენიანი კერძო ტელეკომპანია ამ წლების მანძილზე პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის საჯილდაო ქვად იქცა. ასეა დღესაც.

ირაკლი აბსანძე







ფოტო: რუსთაველი-ის პირადი არქივი

საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებისთანავე „რუსთავი 2“-ის დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლის დაწყების შესახებ კომპანიის დამფუძნებლებმა და ყოფილმა მფლობელებმა – დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ – განაცხადეს. „ჩვენი ამოცანაა, განხორციელდეს ჯერ კიდევ 2004 წელს დასახული ტრანსფორმაცია – „რუსთავი2“ გადაიქცეს სივრცედ, სადაც კამათი, მსჯელობა, ახალი იდეები ხელს შეუწყობს სამოქალაქო, დემოკრატიული საზოგადოების გაძლიერებას“, – ვკითხულობთ მათ მიმართვაში.

პროფესიულ წრეებში ერთ-ერთ ყველაზე ფრთხილ ტელემენეჯერად ცნობილმა დავით დვალმა „ლიბერალთან“ დეტალურად საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა გაგვიზიარა, რომ საქმის გამოძიების თავდაპირველი სწრაფი ტემპი, ბოლო დროს, შენელებულია. დვალისა და აქიმიძის ინტერესებს ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი იცავს. მან დაგვიდასტურა, რომ პროკურატურასთან ბოლო კომუნიკაცია 2 თვის წინ შედგა, თუმცა საქმის შეფერხების მიზეზს ვერც იურისტი ხსნის.

„ლიბერალის“ ინფორმაციით, კომპანიის ყოფილი მფლობელები წილების დასათმობად 2004 წელს დაწყებულ ძალადობრივი კამპანიის ორგანიზებაში ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილს ადანაშაულებენ. რამდენიმეთვიანი თვალთვალისა და პირდაპირი მუქარის შემდეგ, დვალი და აქიმიძე „რუსთავი 2“-ს შემდეგი სქემით ჩამოაცილეს: 2004 წლის 8 ივნისს არხის მაშინდელმა დირექტორმა, ეროსი კინმარიშვილმა სასამართლოში გაკოტრების შესახებ განაცხადი შეიტანა. 11 ივნისს ოფიციალურად დაწყებული გაკოტრების პროცესი 25 ივნისს დასრულდა. 18 ივნისს ნოტარიუს გინტურის ოფისში კი დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ საკუთარი 30-30%-იანი წილები ქიბარ ხალვაშს გადაუფორმეს. გარიგების ღირებულებაზე ყოფილი დამფუძნებლები სასამართლო პროცესამდე არ საუბრობენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქიბარ ხალვაშისთვის საკუ-

თარი წილები დაუთმიათ ეროსი კინმარიშვილსა და ნიკა ტაბატაძესაც.

„ლიბერალმა“ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება პროკურატურაშიც სცადა, მაგრამ მთავარი პროკურატურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა, ხათუნა პაიჭაძემ ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაჩენილი ეიფორიული მოლოდინი მედიაგარემოს რადიკალურად გაუმჯობესების შესახებ მალევე გაქრა. პრემიერ-მინისტრის მიერ საკუთარი ოჯახის მფლობელობაში არსებული „მეცხრე არხის“ საზოგადოებრივ ტელევიზიასთან შერწყმის თაობაზე გაკეთებულმა დამაბნეველმა განცხადებებმა სატელევიზიო ბაზარზე სტაბილურობის შეგრძნების გაზრდას არ შეუწყო ხელი. დამაბნეველი იყო თავად საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებიც, რასაც დამკვირვებლების ნაწილი პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს.

ერთი შეხედვით, გასული წლის ოქტომბრის შემდეგ, ყველაზე მეტად „რუსთავი 2“-მა იხიერა – ამ თვეების განმავლობაში ტელეკომპანიას უფრო იშვიათად უხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდისტული დავალებების შესრულება, რამაც „კურიერს“ ქართველი ტელემაყურებლისთვის ინფორმაციის წყაროს ფუნქცია დაუბრუნა. ამას, ცხადია, ხელი იმანაც შეუწყო, რომ „რუსთავი2“ დღემდე რჩება ტექნიკურად ყველაზე გამართულ ქართულ ტელეარხად. ტელეკომპანიის მენეჯმენტის ხშირი ცვლის მიუხედავად, არხზე დღესაც მუშაობს ტექნიკურ ხარისხზე დაარსების დღიდან პასუხისმგებელი თანამშრომლების დიდი ნაწილი.

მენეჯმენტში დაშვებულ ყველაზე დიდ შეცდომად, „ლიბერალთან“ საუბარში, დავით დვალი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ არხის მხარედ ქცევას მიიჩნევს. მაშინ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ჟურნალისტებმა პოლიტიკოსებთან დისტანცია ნელ-ნელა დაკარგეს და ბო-



ფოტო: ლეონიდა სოსელია

■ პროფესიულ ნრეებში ერთ-ერთ ყველაზე ფრთხილ ტელემენეჯერად ცნობილმა დავით დვალმა „ლიბერალთან“ დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა გაგვიზილა, რომ საქმის გამოძიების თავდაპირველი სწრაფი ტემპი, ბოლო დროს, შენელებულია. დვალისა და აქიმიძის ინტერესებს ადვოკატი იოსებ ბარათაშვილი იცავს. მან დაგვიდასტურა, რომ პროკურატურასთან ბოლო კომუნიკაცია 2 თვის წინ შედგა, თუმცა საქმის შეფერხების მიზეზს ვერც იურისტი ხსნის.

ლოს აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურების ყველა ხელმძღვანელი „რუსთავი2“-ის ყოფილი ტელესახე იყო. იყვნენ ისეთებიც, ვინც თამაშის ამ წესებს არ შეეგუა. ასე დატოვეს არხი „კურიერის“ წამყვანებმა ნათია ლაზაშვილმა და ნანა ლეჟავამ, მთავარმა პროდიუსერმა თამარ რუხაძემ. ტელევიზიასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციას შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთობაზე ყველაზე უკეთ ერთი ფაქტი მეტყველებს: 2010 წლის დეკემბერში პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსად „კურიერის“ წამყვანი ირაკლი მაისურაძე დაინიშნა, თუმცა ის რამდენიმე დღეში კვლავ „რუსთავი2“-ის ეთერში დაბრუნდა.

კერძო ტელეკომპანიასა და სახელმწიფო უწყებას შორის თანამშრომელთა ასეთი ღია გაცვლა-გამოცვლა, ყველაზე რბილი შეფასებით, უცნაურია. ტელევიზიის მხარედ ქცევას შეცდომად აფასებს „რუსთავი2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორიც. ნიკა გვარამია „ლიბერალთან“ საუბარში ადასტურებს, რომ კომპანიის თანამშრომლებს შორის ქვეყანაში ხელისუფლების ცვლამ მომავლის ერთგვარი შიშიც გააჩინა. განსაკუთრებით მტკივნეულად „რუსთავი2“-ლები მფლობელების შესაძლო შეცვლას აღიქვამენ. სიფრთხილის საფუძველიც არსებობს. „ნაციონალური მოძრაობა“ ტელევიზიის ბოლომდე დასამორჩილებლად ოსტატუ-

რად იყენებდა მენილეებს შორის ხშირ და სრულიად გაუმჭვირვალე ცვლილებებს. ოფშორებში დარეგისტრირებული კომპანიების გარდა, „რუსთავი 2“-ის მფლობელები სხვადასხვა დროს იყვნენ ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი ქიბარ ხალვაში და „ნაციონალების“ რუხი ხაზინადარი დავით კეზერაშვილი. დღეის მდგომარეობით, სამაუწყებლო კომპანიის მფლობელებს შორის წილები ასე ნაწილდება: გიორგი გეგეშიძე – 9%; ლევან ყარამანაშვილი – 22%; გიორგი ყარამანაშვილი – 18%; შპს „ტელეკომპანია საქართველო“ — 51%.

საგულისხმოა, რომ „ტელეკომპანია საქართველო“, რომელსაც, თავის მხრივ, იგივე ძმები ყარამანაშვილები ფლობენ, „რუსთავი 2“-ის 51% სულ 5 მილიონ ლარად შეიძინა. ამ ლოგიკით, ქვეყნის უდიდესი კერძო ტელეკომპანია დღეს დაახლოებით 10 მილიონი ლარი ღირს. ამერიკული „ნიუს კორპი“ ტელეკომპანიის მაშინდელ მფლობელებს ჯერ კიდევ 2004 წელს საკონტროლო პაკეტში 10 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა. გარიგება მას შემდეგ ჩაიშალა, რაც დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ შეიტყეს, რომ „ნიუს კორპის“ უკან ბადრი პატარკაციშვილი იდგა.

ძმები ყარამანაშვილები ბოლო დრომდე კიდევ ერთი ქართული ტელეკომპანიის, „მზის“ საკონტროლო პაკეტსაც ფლობდნენ. სააგენტო media.ge-მ 11 ივნისს გაავრცელა ინფორმაცია მათი კუთვნილი 90%-ის „პირველი სტერეოს“ გენერალური დირექტორის, ზვიად ამირიძისთვის მიყიდვის თაობაზე.

„ვიცი, რომ ორი მესაკუთრე ჩივის. თავდაპირველი მესაკუთრის, ეროსი კინწმარიშვილის პარტნიორი დავით დვალი და მისი მეგობარი ცდილობენ დაბრუნებას და უკმაყოფილობას გამოთქვამენ, რომ წაართვეს. მეორე მხრივ, ქიბარ ხალვაშს, ამათგან მეორე გადაწყვიდედეს, პრეტენზია აქვს, რომ წაართვეს. კარგია, რომ დაიწყო პროცესი. არ ვიცი, პროკურატურაში თუ შეიტანეს განცხადება, მაგრამ რეალური მესაკუთრეები ხმაურობენ“, – თქვა ივანიშვილმა გასული წლის 22 დეკემბერს.

პრემიერის განცხადებას „რუსთავი 2“-ის მფლობელებმა იმ დღესვე უპასუხეს. „ჩვენი აზრით, პრემიერ-მინისტრმა დაუფარავად წააქეზა ტელეკომპანიის ყოფილი მფლობელები, დაიწყო უსაფუძვლო სამართლებრივი პროცედურები კომპანიის კანონიერი მფლობელების წინააღმდეგ. ზემოთ აღნიშნულს განვიხილავთ ჩვენი საკუთრების უფლების და ასევე, ჩვენი კუთვნილი მედია-საშუალების თავისუფლების შეზღუდვის მცდელობად,“ – ვკითხულობთ პარლამენტის, სახალხო დამცველის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისათვის დაგზავნილ მიმართვაში.

პროკურატურის ბოლოდროინდელი პასიურობა, შესაძლოა, იმასაც მოასწავებდეს, რომ „რუსთავი 2“-ის თემაზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება გაჯანჯლდა. ამისთვის რეალური წინაპირობებიც არსებობს.

ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუჭირდება საერთაშორისო საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ უმსხვილესი კერძო ტელეკომპანიის მფლობელების სამართლებრივი გზით შეცვლა პოლიტიკური გადაწყვეტილება არ არის. ამისთვის საკმარისი ნდობის მანდატი ჯერ არც ქართულ იუსტიციას და არც პოლიტიკურ ისტებლიშმენტს არ მოუპოვებია.

მეორე მხრივ, სრულებითაც არაა გამორიცხული, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას „რუსთავი2“-ის ამჟამინდელ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა უფრო კომფორტულად მიაჩნდეს, ვიდრე ყოფილი მფლობელების რთულად პროგნოზირებად დუეტთან. დავით დვალი „ლიბერალისთვის“ გასული წლის ოქტომბერში მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა: „2004 წლის თებერვალში, ვიდრე წილებს გავასხვისებდით, ჩემი და ჯარჯის ინციატივა იყო, რომ „რუსთავი 2“ არაოფციალურ საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაქცეულიყო. გვინდოდა, რომ ამ ტელევიზიას, საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვან როლი ეთამაშა, ყოფილიყო

„ბორდი“ სადაც ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანები შევიდოდნენ. შეიძლებოდა თანამშრომლებისთვის წილებიც დაგვერიგებინა. გვინდოდა, „რუსთავი 2“ გადაქცეულიყო იმ არხად, რომელიც არც მთავრობის იდეების პროპაგანდას მოემსახურებოდა და არც – ოპოზიციის, იქნებოდა საზოგადოებრივი ფუნქციების შემსრულებელი. ამას ვაპირებდით და ეს დღემდე ჩვენს აუსრულებელ ოცნებად რჩება“.

ყარამანაშვილების მიერ ტელეკომპანია „მზის“ წილების გაყიდვის შემდეგ, მოვლენათა განვითარების ერთი სავარაუდო ვერსიაც იკვეთება: „რუსთავი 2“-მა, შესაძლოა, კიდევ ერთხელ შეიცვალოს მფლობელი. „ტელეკომპანია საქართველოს“ სახელით განხორციელებული ბოლო ტრანზაქციით დათქმული ღირებულება დაახლოებით 10 მილიონი ლარია. ამ თანხად „რუსთავი 2“-ის ისედაც დახლართულ

საქმეში მორიგი „კეთილსინდისიერი მყიდველის“ გაჩენა და მფლობელობის გარკვევის პროცესის გაჭიანურება დაინტერესებული მხარისთვის ძვირი სიამოვნება არ უნდა იყოს.

„რუსთავი2“-მა წლევანდელი, 19 წლის იუბილე პომპეზურად აღნიშნა. მრავალრიცხოვანი სტუმრებისათვის დაგზავნილ მოსანვევებში ეწერა, რომ ამ დღეს არხი თინეიჯერობის ასაკს ემშვიდობება. როგორც არ უნდა დასრულდეს ტელეკომპანიის ძველ და ახალ მფლობელებს შორის დანყებული ღია ბრძოლა, დიდი ალბათობით, სამწუხაროდ, მხოლოდ იმის პროგნოზირებაა შესაძლებელი, რომ პროცესი უფრო პოლიტიკური იქნება, ვიდრე სამართლებრივი. ერთი რამის წინასწარმეტყველება კი ასპროცენტიანი სიზუსტითაა შესაძლებელი – მომავალ ზაფხულს „რუსთავი 2“ აუცილებლად აღნიშნავს თავის 20-წლიან იუბილეს. ■

■ ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუჭირდება საერთაშორისო საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ უმსხვილესი კერძო ტელეკომპანიის მფლობელების სამართლებრივი გზით შეცვლა პოლიტიკური გადანაცვების ტილუბა არ არის. ამისთვის საკმარისი ნდობის მანდატი ვერ არც ქართულ იუსტიციას და არც პოლიტიკურ ისტებლიშმენტს არ მოუპოვებია.



ფოტო რუსთავი2-ის პირადი არქივი

სოფლის მეურნეობა

# "სხაქსოხების საქმე" - ნაწილი 2 საპყრობილა

შპს „მექანიზატორის“ გენერალური დირექტორი – ვაჟა ნახუცრიშვილი, მისი მოადგილეები – მამუკა ივანიძე და ბესიკ თეთვაძე; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი – ომარ თედორაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები – ოთარ ქარჩავა, ზაზა მახარობლიძე, და გივი ქაიხოსროშვილი... ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“ დაპატიმრებული პირების საქმის გამოძიება გრძელდება. ადვოკატები პროკურატურას დაკავებულებზე ზენოლაში ადანაშაულებენ.

## ზურაბ ვარდიაშვილი

„2013 წლის 15 ივნისს, დილით 10 საათზე, კამერა შემიცვალეს და სხვა საკანში გადამიყვანეს.

ვინრო საკანია, ოთხი ადამიანი ვართ. ჰაერი არასაკმარისია, განსაკუთრებულად მაღალი სიციხეა. ფაქტიურად შექმნილია უმძიმესი პირობები.

აქვე უნდა გაცნობოთ, რომ ვარ ავადმყოფი (ჰიპერტონია, ჰაერის უკმარისობა, სისხლძარღვების შევიწროება, დიაბეტის ზღვარზე). თქვენ დაფიქრდით, რატომ გადამიყვანეს ამ პირობებში, მას შემდეგ, რაც ვადის გაგრძელება მოითხოვეს. არა-



ფერს ვითხოვ, ერთი თხოვნა მქონდა – გაეზომათ წნევა. მთელი ღამე, 17 რიცხვში, არაფრით არ მოვიდა ექიმი ან ექთანი მაინც, წნევის გასამზომად. როცა დილით მორიგე კონტროლიორს ვკითხე, რატომ არ მოვიდა ექიმი ან ექთანი-თქო, მიპასუხა, ექიმმა ბრძანა, მე არ მეხეზაო. ეს



ყველაფერი დაიწყო მას შემდეგ, რაც სხვა კამერაში გადამიყვანეს.

საპატიმროში მოყვანის დღიდან ხუთი კამერა გამომიცვალეს“...

„ცდილობენ, ისარგებლონ ჩემი მძიმე ავადმყოფობით და ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, მიუარესებენ პირობებს,

რათა ჩავვარდე და მივცე მათთვის სასურველი ჩვენება. ამ პირობებში ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მე ვცდილობ ფსიქოლოგიურად გავძლო. თუ ვერ გავძელი, თავს მოვიკლავ, რადგან ვერ ავიტან ამდენ უსამართლობას და ძალმომრეობას. პასუხისმგებლობას ყვე-

ლანაირ შედეგზე ვაკისრებ პროკურორ რიჟამაძეს და მის კომპანიას (გამომძიებლებს, მის დამქაშებს)“...

„ამის შემდეგ, რომელ სამართლიანობა-სა და ჰუმანურობაზე უნდა ვიფიქროთ მე და ჩემს უკან მდგომმა ინტელიგენციამ, ათასობით სტუდენტმა და ახალგაზრდამ, რომელთაც ჩემი სჯერათ, მიცნობენ.“..

“მას შემდეგ, რაც სხვა კამერაში გადამიყვანეს, საკანში მყოფი პატიმრების დიდი ძალისხმევის, ჩხუბის, ყვირილის, კარებზე ბრაზუნის შემდეგ ვახერხებთ ექიმის მოყვანას. საერთოდ, თუ თანა-საკენელებმა არ ატეხეს ალიაქოთი ჩემი ცუდად გახდომის შემდეგ, კაციშვილი პა-ტრონი არ არის.

გამოკითხვის ოქმი ჩემ მიერ ჩემივე სიტყვებითაა დაწერილი, რის სისწორესაც ვადასტურებ ხელის მოწერით“.

ეს არის ამონარიდები გამოკითხვის ოქმიდან, რომელიც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს, კახა კოჟორიძეს, ე.წ. „ტრაქტორების საქმეზე“ და-პატიმრებულმა ომარ თედორაძემ მისცა.

კახა კოჟორიძე მიიჩნევს, რომ ევრო-სასამართლოს სტანდარტებით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი პირობების შექმნა შეგვიძლია წამებად და არაადამიანურ მოპყრობად შევაფასოთ.

საქმის დეტალები საზოგადოებისთვის ცნობილია. „ლიბერალი“ მასზე ჯერ კიდევ სამი კვირის წინ წერდა. სტატია გამო-ქვეყნებულია ვებ-გვერდზეც. მისი მოკლე შინაარსი კი ასეთია: სოფლის მეურნე-ბობის სამინისტრომ დაქვემდებარებული უწყებების მეშვეობით საგაზაფხულო სა-მუშაოების შესასრულებლად ტრაქტორე-ბის შექმნა გადაწყვიტა. ამისთვის ორი კომისია შეიქმნა, ერთი მეცნიერებისა და სპეციალისტების შემადგენლობით, რომელმაც შესასყიდი ტრაქტორების სპე-ციფიკაციები დაადგინა და, მეორე, რომელმაც ტექნიკის შესაძენად მწარმოებელ კომპანიებთან მოლაპარაკებები გამართა. ციხეში სპეციფიკაციების დამდგენი კომი-სიის წევრები აღმოჩნდნენ. მათ ბრალად სხვადასხვა დანაშაული, ძირითადად კი

ფულის გაფლანგვა დაედო.

პროკურატურა დაკავებულებს ედავება, თუ რატომ ურჩიეს სამინისტროს ერთი და არა მეორე ტიპის ტრაქტორების ყიდ-ვა. ბრალდება ამტიციებს, რომ იმავე შე-საძლებლობების ტექნიკის ყიდვა უფრო იაფად შეიძლებოდა. თუმცა ბრალდების არსი მთელ რიგ საკითხებში დამაჯერე-ბლობას მოკლებულია.

საქმის ძიება გრძელდება. წინა სასა-მართლო სხდომა 20 ივნისს უნდა გამარ-თულიყო. თუმცა 13 ივნისს პროკურატურ-რამ სასამართლოს მიმართა და ამ ვადის 19 აგვისტომდე გაგრძელება მოითხოვა. ადვოკატების პროტესტის მიუხედავად, სასამართლომ მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და სხდომა 5 აგვისტომდე გადადო.

ადვოკატი სოსო ბარათაშვილი მიიჩნე-ვს, რომ ვინაიდან პროკურატურას მტკი-ცებულებები არ გააჩნია, მას საქმის სასა-მართლო პროცესამდე მიყვანა არ სურს. სწორედ ამიტომ აჭიანურებს გამოძიებას და ცდილობს, დაკავებულებზე ზემოქმე-დების შედეგად, საქმე საპროცესო გარი-გებით დაასრულოს. იმავეს ამბობს ომარ თედორაძე, გამოკითხვის ოქმში.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი ბრალ-დებული, მამუკა ივანიძე ადვოკატის აცილებას და სახაზინო ადვოკატის და-ნიშვნას ითხოვს.

თხოვნა 16 ივნისის კვირა დღითაა და-თარიღებული და არჩილ კბილაშვილის სახელზეა დაწერილი. ამავე დღეს პროკუ-რორი რიჟამაძე ივანიძის დაკითხვას ითხოვდა და ადვოკატს დაწესებულებაში მისვლას სთავაზობდა, თუმცა უარი მიი-ლო (ადვოკატის გარეშე ბრალდებულის დაკითხვა არ შეიძლება). პროკურორმა რიჟამაძემ აცილების განცხადება ად-ვოკატს ორშაბათს, დილის 11 საათზე აჩვენა. მაშინ, როდესაც ადვოკატი მას შემთხვევით, საპატიმრო დაწესებულებაში შეეჩხხა. ბარათაშვილს აინტერესებს, რომ თუ განცხადება კვირას დაინერა, მაშ, რა-ტომღა სთხოვდა დაკითხვაზე დასწრებას პროკურორი.

■ ბარათაშვილს პროკუ-რორის და გამოძიებლის ამგვარი მოქმედება არ უკვირს „ეს არის დაუსჯე-ლობის სინდრომით გათამამებული ხალხი, ერთი ადამიანი მაინც რომ დასჯილიყო, მაგალითად ფოტოგრაფების ან სხვა ნებისმიერ საქმეზე, ისინი ამას ვერ გაბუდვადნენ. მე მიკვირს მთავარი პროკუ-რორის, არჩილ კბილაშვი-ლის ან სოზარ სუბარის პო-ზიცია, რომლებიც წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დამცველები იყვნენ.“



ამასთან ჩნდება კითხვა – 11 საათისთვის პროკურორს როგორ ჰქონდა ხელთ განცხადება, რომელიც ჯერ მთავარ პროკურორთან უნდა მისულიყო, მას უნდა განეხილა და საქმის მწარმოებელ პროკურორთან დაბრუნებულიყო. ადვოკატის თქმით, ეს იყო არაკანონიერი, არასაპროცესო მოქმედება და აცილება იძულებით, ზემოქმედებით დაინერა.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი ბრალდებული ვაჟა ნახუცრიშვილი საკანში კი უკვე მსჯავრდებულ პირებთან გადაიყვანეს.

ბარათაშვილს პროკურორის და გამომძიებლის ამგვარი მოქმედება არ უკვირს „ეს არის დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული ხალხი, ერთი ადამიანი მაინც რომ დასჯილიყო, მაგალითად ფოტოგრაფების ან სხვა ნებისმიერ საქმეზე, ისინი ამას ვერ გაბედავდნენ. მე მიკვირს მთავარი პროკურორის, არჩილ კვიციანიშვილის ან სოზარ სუბარის პოზიცია, რომლებიც წლების განმავლობაში ადამიანის უფლებათა დამცველები იყვნენ.“

სასჯელადსრულების სამინისტროს ხელმძღვანელს, ირაკლი კორძაიას ჩვენი სატელეფონო ზარებისთვის არ უპასუხია. ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა, მთავარი პროკურატურის პრესასა და საზოგადოებასთან სამსახურის უფროსთან, ხათუნა პაიჭაძესთან დაკავშირება.


ბრალდებულთა ადვოკატებმა უკვე რამდენიმე პრესკონფერენცია გამართეს, ისინი ცდილობენ საზოგადოებას დაწვრილებითი ინფორმაცია მიანოდონ. ბოლო შეხვედრაზე, ჟურნალისტებთან ერთად, უფლებადამცველები და ექსპერტებიც მიიწვიეს. მათ შორის იყვნენ „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ წევრები. ექსპერტთა კლუბი ისეთ ცნობილ და გავლენიან წევრებს აერთიანებს, როგორებიც არიან პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გია ხუხაშვილი, აშშ-ში საქართველოს ელჩი არჩილ გეგეშიძე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი, საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი

ზაქარია ქუცნაშვილი და ა.შ.

შეხვედრაზე მყოფი ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ფიქრობს, რომ „ეს საქმე ისე ვერ დასრულდება, როგორც პროკურატურას სურს.“ მან პატიმრებზე ზენოლის ფაქტების შესახებ ინფორმაცია აღნიშნულ შეხვედრაზე მიიღო: „მე შემექმნა ისეთი შთაბეჭდილება და ინფორმაციაც ასეთი მივიღე, რომ მაგალითად, ომარ თედორაძეს შეგნებულად თრგუნავენ, რათა ის უფრო დამყოლი გახდეს. არ შევეგუები იმას, რომ ისევე ის განმეორდეს, რასაც ვებრძოდი... ტექნიკური დეტალები ჩემთვის ცნობილია და პირველივე დღიდან ვხვდებოდი, რომ რაღაც სუფთად ვერ იყო.“

ექსპერტი საქმის „შეკვრის“ მოტივაციაზეც საუბრობს: მისი თქმით, „სამინისტროში უცებ დიდი ფული გაჩნდა, გრანტები, ფონდი... სწორედ ამ თანხებმა მიიზიდა მაღალჩინოსანთა გარკვეული კატეგორია. ამისთვის საჭირო იყო კირვალის და მისი ჯგუფის მოშორება“. არეშიძე ფიქრობს, რომ „საქმის გაყალბებაში როგორც ძველი ისე ახალი მაღალჩინოსნები არიან ჩართულები.“

ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს, პოლიტოლოგ, სოსო ცისკარისვილს აინტერესებს „წლების შემდეგ დღევანდელი ხელისუფლების წარჩინებულებმა რა გამომეტყველებით უნდა წაიკითხონ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ თემაზე, რომლის გაღვივებაც დღეს პროკურატურას სურს.“ მისი აზრით, „ადვოკატების არგუმენტები ისეთი დამაჯერებელია, რომ ვფიქრობ, მონმენი ვხდებით კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური ბრალდებისა“.

სოფლის მეურნეობის თანამშრომელთა და მეცნიერთა ადვოკატები, უფლებადამცველები, არასამთავრობოთა წარმომადგენლები და ექსპერტები, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს მოუწოდებენ, ამ საქმეს უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ და არ დაუშვან მისი ისეთი სტილითა და დინამიკით წარმართვა, როგორითაც ახლა მიმდინარეობს. 

**ადვოკატი სოსო ბარათაშვილი** მიიჩნევს, რომ ვინაიდან პროკურატურას მტკიცებულებები არ გააჩნია, მას საქმის სასამართლო პროცესამდე მიყვანა არ სურს. სწორედ ამიტომ აჭიანურებს გამოძიებას და ცდილობს, დაკავებულებზე ზემოქმედების შედეგად, საქმე საპროცესო გარიგებით დაასრულოს. იგივეს ამბობს ომარ თედორაძე, გამოკითხვის ოქმში.



ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი

## ჩა ბანკევეტიბებზე ჩი საუბრობს იუსტიციის საბჭოს ახალი მდივანი?

ინტერვიუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივან  
ლევან მურუსიძესთან

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლევან მურუსიძე მოსამართლეთა კონფერენციამ შესაძლო 240-იდან 205 ხმით აირჩია. როგორ მოხვდა ის საქალაქო სასამართლოდან პირდაპირ უზენაეს სასამართლოში? რას ფიქრობს მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით? რომელ გადანყვეტილებებზე არ სურს საუბარი?

თქვენ უზენაეს სასამართლოში პირდაპირ პირველი ინსტანციის სასამართლოდან, რამდენიმე-თვიანი მუშაობის შემდეგ გადმოგიყვანეს. რით დაიმსახურეთ ასეთი კარიერული ნახტომი? როგორც წესი, მოსამართლეებს ყველა ინსტანციის გავლა უწევთ უზენაეს სასამართლოში მოსახვედრად...

მე მხოლოდ სააპელაციო ინსტანცია არ მაქვს გავლილი. ვმუშაობდი მოსამართლის თანაშემწედ, სხდომის მდივნად. ვიცოდი კანცელარიის სამუშაოც. ერთი წელი პროკურატურაში ვიყავი, შემდეგ კი პირველ ინსტანციაში ვმუშაობდი. ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი. მუშაობა აუტანელ პირობებში გვინევდა. სამი მოსამართლე ერთ ოთახში ვიყავით. აუარება საქმე გვექონდა განსახილველი. მქონია შემთხვევა, რომ როდესაც პატიმარი ვერ მოჰყავდათ, ჩემი ხარჯით ადვოკატი და პროკურორი წამიყვანია და პროცესი ციხეში ჩამიტარებია. ეს მხოლოდ სამოსამართლო საქმიანობა კი არა, სამოქალაქო გმირობა იყო.

თანაც უზენაეს სასამართლოში პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტი გირჩევს. ასე რომ, რა კუთხით მოხდა ჩემი შერჩევა, ამაზე ვერ ვისაუბრებ.

უზენაეს სასამართლოში დანიშნისთანავე ჩაგბარდათ ოთხი მოსამართლის დისციპლინური დევნის საქმე (ლალაიშვილი, გვენეტაძე, ისაევ, ტურავა), რომელიც მათი სასამართლოდან გათავისუფლებით დასრულდა... ერთ-ერთი მათგანი, თამარ ლალაიშვილი, ფიქრობს, რომ თქვენი ასეთი სწრაფი დანიშნაობა, სწორედ ამ საქმეს უკავშირდება.

მათთან პოლემიკაში ვერ შევალ, მაინც ჩემი ყოფილი კოლეგე-

ბი არიან. ვერც იმაზე ვისაუბრებ, თუ რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება... ახლა ისეთი პერიოდია, რომ მიინდა კონსოლიდაცია მოვახდინოთ, რათა ქვეყანაში დამოუკიდებელი მართლმსაჯულება განვითარდეს. ამაში ყველა ადამიანი უნდა გამოვიყენოთ.

თქვენ ამ მოსამართლეებთან რაიმე კონსულტაციებს მართავთ?

არა, მაგრამ ვისაც სურვილი აქვს, მზად ვარ ვესაუბრო.

საქმის მოკლე შინაარსი ასეთია, ძმა მოკლა ძმა, დაზარალებულად დედა იყო ცნობილი, თუმცა მოკლულის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლე ამ სტატუსს თავად ითხოვდა. ვინაიდან დედა შეიძლებოდა მიკერძოებული ყოფილიყო, ის ხომ მსჯავრდებულის დედაც იყო. ამ მოსამართლეებმა ნორმის ინტერპრეტაცია გააკეთეს და სტატუსი მეუღლეს მიანიჭეს. სწორედ ეს გახდა საფუძველი ამ მოსამართლეთა სამსახურიდან გათავისუფლებისა. რატომ მიიჩნიეთ საჭიროდ მოსამართლეთა ამ მიზეზით გათავისუფლება? მხოლოდ იმის გამო, რომ მეუღლე არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა?

ზუსტად არ მახსოვს. დიდი ხანია გასული... მაგრამ მაშინ კანონში იყო ჩანაწერი, რომ კანონის უხეში დარღვევის გამო, მოსამართლე შეიძლებოდა დისციპლინურად დასჯილიყო, სადისციპლინო პალატამ მიიჩნია, რომ ასეთი დარღვევა დაფიქსირდა. და ჩვენ მათი გათავისუფლების გადაწყვეტილება მივიღეთ. თუმცა მე მიმაჩნია, რომ ახლა უმჯობესია იუსტიციის საბჭოს არჩევნებზე ვისაუბროთ.

არჩევნებზეც გკითხავთ, თუმცა მანამდე ეს თემა ამოწურეთ. ისეთ საქმეებში, როგორებიცაა „ჯონსტორნი და სხვები ირლანდიის წინააღმდეგ“ „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ „X, Y, და Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ...“ ევროპული სასა-

მათთან პოლემიკაში ვერ შევალ, მაინც ჩემი ყოფილი კოლეგები არიან. ვერც იმაზე ვისაუბრებ, თუ რატომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება... ახლა ისეთი პერიოდია, რომ მიინდა კონსოლიდაცია მოვახდინოთ, რათა ქვეყანაში დამოუკიდებელი მართლმსაჯულება განვითარდეს. ამაში ყველა ადამიანი უნდა გამოვიყენოთ.

მართლოს მოსაზრებით ოჯახური ცხოვრების განმარტება გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და მოიცვა ფაქტობრივი კავშირებიც, რატომ არ დაეყრდენით ამ პრაქტიკას? ეს პრაქტიკა ხომ გათავისუფლებული მოსამართლეების სამართლიან გადაწყვეტილებაზე მიუთითებდა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: ეს არის ჩვენ მიერ მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების შესახებ საუბარი, მოსამართლის ეთიკიდან გამომდინარე და ისედაც, ზოგადად, სწორი არ არის. განა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, უბრალოდ, მიღებული და მიზანშეწონილი არ არის.

**მაგრამ ეს მოსამართლეები მიიჩნევენ, რომ ეს საქმე საბაზი იყო მათი სასამართლო სისტემიდან ჩამოშორებისა, რადგან ისინი თავიანთი დამოუკიდებლობით და პრინციპულობით გამოირჩეოდნენ...**

ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი ვარ და ისინი ჩემი შინაგანი რწმენის საფუძველზე მიმიღია, თუმცა მათზე ვერ ვისაუბრებ, სწორად გამიგეთ...

**ალბათ უფრო სხვა მოსამართლის გადაწყვეტილების კომენტარებისას შეიძლება შეგექმნათ უხერხულობა, მაგრამ მე თქვენსავე გადაწყვეტილებაზე გეკითხებით.**

\*\*\*

**2006 წლის 23 ივნისს თქვენ წაიკითხეთ განაჩენი, რომლითაც კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს, სულხან მოლაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეთ, დღესაც ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება კანონს შეესაბამებოდა?**

დიახ, რა თქმა უნდა.

**როდესაც უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა, უკვე გახმაურებული იყო მოლაშვილის წამების ამბავი,**

გამოქვეყნებული იყო სიგარეტის ნაწმენკებით ნაწამები მსჯავრდებულ მოლაშვილის ფოტოები, უკვე გავრცელებული იყო მათიას იორშის განცხადება, რომ ეს იყო ყველაზე ვანდალური მოპყრობის ფაქტები მის პრაქტიკაში, წამების სანაწარმდეგო მსოფლიო ორგანიზაციის საერთაშორისო სამდივნოს დირექტორს, ერიკ სოტასს უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა ლია წერილი მოლაშვილის დაუყოვნებლივი გათავისუფლების მოთხოვნით... ამ ყველაფერმა თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა არ იქონია?

მე მოსამართლე ვარ, კანონის საფუძველზე უნდა ვიმოქმედო. მე მაინტერესებს, ჩაიღინა თუ არა პიროვნებამ დანაშაული. ციხეს რაც შეეხება, ეს სხვა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. წამების ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლოს პასუხისმგებლობა რაში მდგომარეობს, არ ვიცი.

**თქვენ გამოცდა სისხლის სამართლის მიმართულებით გაქვე ჩაბარებული, თუმცა ადმინისტრაციულ პალატაში საქმიანობდით. ეს რამდენად შეესაბამება კანონს?**

ამაში არაფერი დარღვევა არ არის, ჩვენთან ისეთი მოსამართლეებიც იყვნენ, ვისაც საერთოდ არ ჰქონდა გამოცდა ჩაბარებული. პლენუმი წყვეტს, ვინ სად უნდა განესადგეს. ჩემს შემთხვევაშიც, პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადმინისტრაციულ პალატას დახმარება სჭირდებოდა, და აქ არაფერი დარღვეულა.

**რამდენად სწორად განიმარტა კანონი, რომლის მიხედვითაც კონფერენციამ იუსტიციის საბჭოს სამი ადგილი თავმჯდომარე მოსამართლეებს მიაკუთვნა?**

როგორც კანონში წერია, განმარტებაც შესაბამისი იყო. შეიძლება ზოგმა იკითხოს, რამდენად სამართლიანი იყო ეს, მაგრამ მთავარია, რომ კანონიერი იყო.

აი, მაგალითად, პარლამენტს საბჭოს ექვსი წევრი უნდა აერჩია, თუმცა მხოლოდ ოთხი

■ მე მოსამართლე ვარ, კანონის საფუძველზე უნდა ვიმოქმედო. მე მაინტერესებს, ჩაიღინა თუ არა პიროვნებამ დანაშაული. ციხეს რაც შეეხება, ეს სხვა სამინისტროს კომპეტენციაში შედიოდა. წამების ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლოს პასუხისმგებლობა რაში მდგომარეობს, არ ვიცი.

აირჩია, რატომ არ აირჩია დანარჩენი ორი? იმიტომ, რომ მათ ამისთვის პარლამენტართა ორი მესამედის მხარდაჭერა სჭირდებოდა. რატომ არ არის იმ ორი წევრის მიმართ სამართლიანი მიდგომა? იმიტომ, რომ პარლამენტმა კანონით ასე განსაზღვრა, ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც.

**ანუ, კანონი რომელსაც კონფერენციაზე დაეყრდენით და ინტერპრეტირებაც გაუკეთეთ, სამართლიანი არ არის?**

მე ყოველთვის იმას ვამბობ, რომ მოსამართლე კანონს უნდა დაეყრდნოს.

**როდესაც „კანონიერი“ „სამართლიანს“ არ ნიშნავს, მაშინ როგორ იქცევით?**


სამართლიანობა რას ნიშნავს, ეს რთული სათქმელია, ხოლო თუ კანონს არ და-

ვეყრდნობით, სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება.

**კანონი თუ უსამართლოა?**

ეს პარლამენტის გადასაწყვეტია, რომელსაც ხალხი ირჩევს.

**სწორედ ეს პარლამენტი გეგმავს შექმნას ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელიც მოსამართლეთა საკითხებს შეისწავლის. როგორი იქნება თქვენი რეაქცია, როდესაც კომისია გამოძიებას დაიწყებს?**

ამ კომისიის დასკვნის საფუძველზე რომელიმე მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემა ჩემთვის მიუღებელია. 

*ესაუბრა ზურა ვარდიაშვილი*

**Radio** *Commersant*

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



**ბიზნესის პერსონალური რადიო**

*Commersant*.ge



„ჯანდაცვის სამინისტროს 2016 წლის პროექტის მიხედვით, ქვეყანაში C ჰეპატიტის მკურნალობა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება,“ –


**ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე,  
მარიამ ჯაში.**

---



„ჩანაწერების გარკვეული რაოდენობა შესაძლოა, გამოყენებული იყოს, როგორც მტკიცებულება და ჩვენ ამ პოზიციას ვემხრობით“, –  
**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი, რიჩარდ ნორლანდი.**

---



„ყველამ იცით, რომ ბოლო წლებში პოლიცია ძალიან შეიცვალა და ეჭვს არ იწვევს, რომ იქ სიტუაცია იყო მთლიანობაში ძალიან გაუმჯობესებული. მაგრამ ყოველთვის შეიძლება წარმოიქმნას უბედურების და საზიზღრობის კუნძული. ყოველთვის შეიძლება შეიპარონ სადისტები და მოძალადეები. რა თქმა უნდა, ძალიან ვწუხვარ, თუ ასეთები შეიპარნენ ჩემი მთავრობის დროს. ამიტომ ძალიან კონკრეტული მიდგომა უნდა იყოს ამ ხალხის მიმართ. მათ ხელი არ უნდა დააფარონ“, –

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

---



„ყველამ უნდა ვიფიქროთ იმ ადამიანებზე, რომლებიც არიან ამ კადრებში. როდესაც ეს ადამიანები გაიგებენ, რომ დაახლოებით 100 ჟურნალისტი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სხედან და ამ კადრებს უყურებს, მათ გრძნობებზე ჩვენ უნდა ვიფიქროთ“, –

**ეკა გიგაური, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“  
ხელმძღვანელი**

---



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)



**WWW.LIBERALI.GE**

---

## გვიპოვნეთ სოციალურ ქსელზე

მთავრებით



<http://twitter.com/liberalimagazin>



მთავრით

Facebook

<http://facebook.com/LiberaliMaga>

გამოიწერეთ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>